პარასკევი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 20 № 244
წელიწადი მეოთხე

პარასკევი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 20 №244
ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

**რედაქცია**

**საგაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს **ავტორის** ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

**რედაქცია** ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კონტორა**

„**საქართველოზე**" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. **განცხადების ფასი** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **სამგლოვიარო განცხადება** თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა **15--73**

## უკანასკნელი ცნობები

ხადახლოსთან სომხები დიდი ზარალით უკუვაქციეთ. ბრძოლის ველზე დასტოვეს 3 ოფიცერი და რამდენიმე ათეული ჯარისკაცი. ტყვედ წამოვიყვანეთ 2 ოფიცერი (ერთი რუსია) და 37 შეიარაღებული ჯარისკაცი.

ახალქალაქის მაზრაში მდგომარეობა უცვლელია. ჩვენ წინააღმდეგ სომხეთა რეგულიარული ნაწილები მოქმედობენ.

პირველ დღეებში ტყვედ წაყვანილი 5 ქართველი ჯარისკაცი სომხებს დაუხვრეტიათ.

გუშინ სამხედრო მინისტრმა ხალხისადმი მოწოდება გამოსცა.

მაჰმადიანები საქართველოს ჯარში ეწერებიან.

პროვინციებიდან მოხალისეები ჩამოდიან.

მთავრობის თავმჯდომარემ ქუთაისის მრავალრიცხოვან მიტინგისგან მისალმებითი დეპეშა მიიღო.

პარლამენტი სახალხო გვარდიას მიესალმა.

ახალქალაქის მაზრა სრულიად გაწმენდილია სომხებისაგან გენ. მაყაშვილის მიერ.

ინგლისის ჯარმა გადაიარა რეინი. ცხენოსან ჯარმა საოკუპაციო საზღვარს მიაღწია.

„ტემპსი"ს ცნობით საზავო კონფერენცია გაიხსნება იანვრის ნახევარში.

დროებით ზავის გადადების გამო რეიჰსტაგს არ მოიწვევენ.

მოჰკლეს პორტუგალიის პრეზიდენტი პ სი.

## სახელმწიფო თეატრი
### საოპერო დასი ევლახოვისა

**შაბათს**, 21 ქრისტეშობისთვეს, სარაჯიშვილის და ინაევის მონაწილეობით;

# ტრავიატა

**დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე.** ✦ **ადგილების ფასი ხელმისაწვდომია.**

კვირას, 22 ქრისტეშობისთვეს, დილით „**ევგენი ონეგინი**" საღამოთი ალეშკოს, ზალიპსკის და ნიკოლსკის მონაწილეობით „**რუსალკა**".

**სამშაბათს**, 24 ქრისტეშობისთვეს, სარაჯიშვილის მონაწილეობით „**მარგალიტების მაძიებელნი**".

ოთხშაბათს 25 ქრისტეშობისთვეს, ალეშკოს, ზალიპსკის, პოლიაევას მონაწილეობით „**ზაზა**".

ხუთშაბათს, 26 ქრისტეშობისთვეს, საბანეევას, სარაჯიშვილის და ნიკოლსკის მონაწილეობით „**ლაკმე**".

შაბათს, 28 ქრისტეშობისთვეს ი. ა. სამოსუდის ბენეფისი „**ჰოფმანის ზღაპრები**" მონაწილეობას მიიღებენ საბანეევა, შულგინა, შვამბერგი, ზალიპსკი და ნიკოლსკი.

**29 მარიამობისთვეს (ახ. სტ.)**

ბელორეჩინსკის 9 ვერსით მოშორებულ ფშეხოვსკაიას მახლობლად (ტუაპსე-არმავირის რაიონი) ბრძოლის დროს

## უკვალოდ დაიკარგა

1-ლ ქართულ საარტილერიო ბრიგადის მე-6-ე ბატარეის კანონირი **დავით არონის ძე ელიგულაშვილი.**

ვინც მის შესახებ რაიმე სარწმუნო ცნობების მოწოდებას შესძლებს დაბეჯითებით ვთხოვთ

## ჯილდოს მიღებით

შეგვატყობინოს გულდათუთქულ მშობლებს შემდეგის მისამართით: ქ. ქუთაისი მიხაილის ქ. საკუთ. სახლი არონ იაკობის ძე ელიგულაშვილს.

(12—1956—4)

# ამიერ-კავკასიის ბანკი

## ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ

1) პროვინციის ზოგიერთ აგენტების თხოვნის თანახმად მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა გაგრძელებულია 1918 წლის 31 ქრისტეშობისთვემდე.

2) ორივე გამოცემის აქციები დამზადებულია კიდეც და დარიგდება თბილისში ამიერ-კავკასიის ბანკში და ქუთაისში საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში: ა) პირველი გამოცემის აქციების მისაღებად საჭიროა დროებით მოწმობის წარდგენა და ბ) მეორე გამოცემის აქციები, მიეცემათ ძველ აქციონერებს თანახმად ძირითად განაწილებისა (პირველი გამოცემის თითო აქციაზე თითო ახალი).

3) მეორე გამოცემის აქციები, თანახმად დამატებით განაწილებისა, მიეცემათ აქციონერებს 1919 წლის იანვარში იმავე ბანკებში.

4) იმ აქციონერმა, რომელმაც დროებითი მოწმობა დაჰკარგა, განცხადება უნდა შეიტანოს ამიერ-კავკასიის ბანკში დაკარგვის შესახებ, აღნიშნოს დროებით მოწმობის ნომრები და განცხადების დაბეჭდვის ხარჯების დასაფარავად წარადგინოს 25 მანეთი; ასეთ პირებს აქციები მიეცემათ ორი კვირის შემდეგ დღიდან განცხადების დაბეჭდვისა. 6—3

## გეგეჭკორის პოლიტიკა

ქართველ-სომხეთის ომი გამოცხადებულია.

ომი თავის-თავად გულისხმობს ეროვნულ გაერთიანებას, უნდა დავიწყებულ იქმნას პარტიული ყველაფერი და შეიქმნას ერთი მთლიანი ფრონტი თავდაცვისა.

როცა მთავრობა ომს აწარმოებს ჩვენ ყოველი საშუალებით უნდა დავეხმაროთ ამ დიდ საქმეში, მაგრამ შეცდომა იქნებოდა მოგვეწონებია ყოველი ნაბიჯი მთავრობისა და კრიტიკის გარეშე დაგვეყენებია.

ინგლისმა და საფრანგეთმა ამ ომის დროს მოგვცეს ბევრი მაგალითი იმისა, რომ მთავრობის შეცდომებს არ უნდა დამალვა, საზოგადოებისათვის აშკარა უნდა გახდეს ყველაფერი, თუნდა ეს დამამცირებელი იყოს ეროვნული თავმოყვარეობისა.

ბათომის მარცხმა გადასწყვიტა მაშინდელ ამიერ-კავკასიის კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ბ. ე. გეგეჭკორის ბედი.

ის იძულებული იყო კაბინეტიდან გადამდგარიყო, ქართველი ერი განურჩევლად მიმართულებისა და ბ. გეგეჭკორის პარტიულ ამხანაგებიც არ მალავდენ, რომ გეგეჭკორის პოლიტიკის კურსს საქართველო დაღუპვისაკენ მიჰყავდა.

მაშინ გაიმარჯვა ბ. აკაკი ჩხენკელმა და აქედან დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცება; მხოლოდ გეგეჭკორი დარჩა ბათომის დამარცხების სიმბოლოთ.

ქართველი ჯარი ვერ დაივიწყებდა იმას, რომ ეროვნული ლაშქრის შედგენის ყველაზე უფრო სასტიკი მოწინააღმდეგე სწორედ ბ. გეგეჭკორი იყო და საბედისწეროთ ის გახდა ბათომის ეპოპეის მთავარ მონაწილეთ, მაშინ ე. გეგეჭკორის სახელი ჟუჟელი იყო მთელ საქართველოში, თუმცა როგორც ყოველთვის ხალხის გრძნობა ამ შემთხვევაშიც აშეტებდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის ნახევარი წელი გავიდა. ქართველმა ერმა გამოიჩინა დიდი სახელმწიფოებრივი შეგნება და დემოკრატია, რომელსაც თავზე ახვევდნენ „ბრიყვ კოსმოპოლიტობას" ეროვნული შეგნებით გაიმსჭვალა.

ამ დღიდან თანდათან ემატებოდა ხალხს ეროვნული ღირსების გრძნობა და ერკვეოდა ინტერნაციონალურ ბურუსიდან. ბ. წერეთელი ბოლოს იძულებული გახდა ეღიარებია, რომ ქართველი მუშებშიც ნაციონალიზმი იზრდება, გარშემორტყმულ მტრების იერიშების მოგერიებით.

მაგრამ გერმანიის დამარცხებამ კიდევ შეასხა ფრთები დარღვეულ რუსეთის მოტრფიალეთ და აღძრათ სურვილი კიდევ გახადონ საქართველო რუსეთის პროვინციათ; ხელ-ახლა დაიწყეს ლაპარაკი დარღვეულ რუსეთის ფრონტის გაერთიანებაზე.

ეს, რასაკვირველია, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში კრიზისი იყო და ამ კრიზისის დროს კიდევ გამოიჩნდა ბ. ე. გეგეჭკორი, იმას ჩააბარეს ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო პორტფელი საგარეო მინისტრისა.

საქართველოს მტრების პრესაში დაიწყო ლიტანია ახალ დანიშვნის გამო, არ ზოგავდნენ კომპლიმენტებს ბ. გეგეჭკორისთვის, მაგრამ მალე გამართლდა ძველი თქმულება:

„არ ვარგა იგი ვეზირი, რომელსაც გიქებს მტერიო".

ე. გეგეჭკორმა იცოდა, რომ სომხები საქართველოს წინააღმდეგ ომს ამზადებდენ, ეს არ შეიძლება არ სცოდნოდა, მაგრამ ის განაგრძობდა ქირვეულ სომხების ხმობას ამიერ-კავკასიის კონფერენციაზე, და ქებით და კომპლიმენტებით თავბრუდახვეული თანდათან აგრძელებდა კონფერენციის მოწვევის დროს, რომ შეენახა პრესტიჟი მშვიდობის მოყვარე და ერთა სოლიდარობის გამამტკიცებელი მინისტრისა. მართალია გეგეჭკორი ამბობდა, რომ მოხდა ერთგვარი წინასწარი შეთანხმება სომხებთან, მაგრამ ამ შეთანხმებაზე, რომ არ ვილაპარაკოთ სჯობია. რატომ? ალბათ თვითონ გეგეჭკორმაც იცის,—სომხებთან ომის დროს საქართველო რომ მარტო დარჩა.

როცა არაფერი ეჭვი არ იყო, რომ სომხეთმა საქართველოს ომი გამოუცხადა, როცა სანაინთან მუხანათურათ ამოჟლიტეს ქართველი მოდარაჯენი და ამის შესახებ პარლამენტში ალაპარაკდა ბ. გეგეჭკორი, მაშინაც ვერ მონახა შესაფერი სიტყვები და თავის აუღელვებლობას დიპლომატიის მდგომარეობით ხსნიდა, თუმცა ამ დიპლომატიამ არ დაუშალა მას ერთხელ სეიმში ბ. ხან-ხოისკის წინააღმდეგ სასტიკათ გაელაშქრა სომხების დასაცავად.

ბ. გეგეჭკორი ამ დღეს ლაპარაკობდა რაღაც ბანდებზე და კონფლიქტზე, როცა ომი დაწყებული იყო კიდეც და სამხედრო მინისტრმა აღნიშნა დანამდვილებით, რომ სანაინს სომხების რეგულიარული ჯარის ნაწილები ესხმოდენ თავს.

იმდენათ რბილი და ბუნდოვანი იყო ეს მოხსენება, რომ როცა ეს გაიმეორა თბილისის ქალაქის საბჭოში უკვე სკანდალით დათავდა მისი გამოსვლა, ამ სკანდალის ლიკვიდაცია მხოლოდ ქალაქის საბჭოს გარეკით თუ მოხდება...

სამშაბათს პარლამენტში ნამდვილი ისტორიული დღე იყო, მხოლოდ, გეგეჭკორი ვერ გრძნობდა თავს თავის ადგილას და ეს აღნიშნული იყო ტრიბუნიდანაც. ის არ იყო ამ ზეიმის მონაწილე.

ჩვენ გვეშინია ბ. გეგეჭკორი არ გახდეს დამარცხების სიმბოლოთ...

## საშინელი ანგარიში

დადგა ჟამი საშინელი ანგარიშისა სომხეთთან!

მას აქედ, რაც დაინგრა სომხეთის სახელმწიფო და დამარცხებული ერი იძულებული გახდა თითქმის სულ მიეტოვებინა თავის მიწა-წყალი, საქართველო იყო ერთად-ერთი მისი თავშესაფარი. მუსულმანობამ დაიპყრო მთელი მცირე აზია, იქ დარჩა მხოლოდ ორი ფრაგმენტი ქრისტიანული კულტურისა—საქართველო და სომხეთი. ამ კულტურულმა სიახლოვემ ჰშვა ზნეობრივი სიახლოვეც და სომეხი მოდიოდა საქართველოში, თითქმის როგორც თავის ქვეყანაში. საქართველოს კარი მუდამ ღია იყო იმისთვის, ქართველი ერი ძმურად და მეგობრულად ხვდებოდა იმას. სომეხს ხშირად ეჭირა უპირველესი ადგილი სახელმწიფოში. შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია მოვიგონოთ, რომ ირაკლი მეფემ მისცა სომხებს ზოგიერთი უპირატესობა სამოქალაქო ცხოვრებაში, დაურიგა მიწა-წყალი, დაუთმო ჩვენი ეკლესიები.

სომხებმა თავისებურად გადაგვიხადეს ის ძმობა და პატივისცემა.—აღა-მახმედ-ხანის ლაშქარს გზის მაჩვენებლად წინ მოუძღოდნენ ირაკლი მეფის მიერ დასაჩუქრებული სომხები საქართველოს ასაკლებად.—როცა გამოცხადდა მანიფესტი, რომლით გაუქმებულ იყო საქართველოს პოლიტიკური არსებობა, 1801 წელს, და მთელი საქართველო გულ-ჩათუთქული ჰტიროდა, სომხებმა ვანქის სობოროს ეზოში გამართეს ცეკვა-თამაში და იდღესასწაულეს რუსეთის გაბატონება.

მეფის გვარეულობა საქართველოდან გაძევებულ იყო, დარჩა უპატრონოთ მათი ქონება და ავლადიდება. დანგრეულ სახელმწიფოს ნაშთებს დაესივნენ ყვავ-ყორანნი—რუსის მოხელენი და სომხის ჩარჩები. შედეგი: მთელი სიონის უბანი, სოლოლაკი და კალოუბანი დარჩათ თითქმის მუქთად ისევე სომხებს. საქართველოს შემოერთების დროს სომხეთა რიცხვი არ აღემატებოდა ქ. თბილისში 8—10 პროც. ეხლა მათი რიცხვი 34 პროც. უდრის.

დავივიწყოთ ბნელი საუკუნე რუსეთის ბატონობისა, როცა სომხებიც არ ზოგავდენ ფულს და ენერგიას, რომ დაემცირებინათ საქართველო, მისი წარსული, მისი კულტურა... და გადავიდეთ უკანასკნელ დროზე.

ბევრმა არც კი იცის, რომ ჩვენ ამ ბოლო დროს სულ გადავყვებით სომხებს და მათ პოლიტიკურ ფანტაზიებს შევწირეთ ბევრი ჩვენი ეროვნული ინტერესები. თუ ჩვენ ბათუმი ლა აჭარა დავკარგეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მხარი დავუჭირეთ სომხების პრეტენზიებს. თავის დროზე რომ მიგვეტოვებიანა სომხები და გამოგვეცხადნა საქართველოს დამოუკიდებლობა, ჩვენ ბათუმიც შეგვრჩებოდა. ოსმალეთს საქართველოს წინააღმდეგ არა ჰქონდა რა, მას მხოლოდ სომხეთის გადათელვა უნდოდა და ადერბეიჯანში გასვლა. ჩვენ ეს ვიცოდით, მაგრამ სომხებს არ ვუღალატეთ.

რომ გაგვიჭირდა. ჩვენ ვთხოვეთ შემწეობა გერმანიას; ამით ჩვენ დავიცევით განადგურებისაგან სომხების ის ნაწილი. რომელიც შემოხიზნული იყო საქართველოში, მაგრამ ნათქვამია: სიკეთისთვის სიკეთე ვის უქნიანო? გავიდნენ თუ არა გერმანელები საქართველოდან და ოსმალელები ადერბეიჯანიდან, სომხებმა იფიქრეს, რომ დადგა ჟამი მადლობის გადახდისა.

მადლობაც სომხურია: -მოღალატური, ვერაგული, უსინდისო. მოულოდნელად დაესხნენ თავს ჩვენს პატარა სანაპირო რაზმებს და ამოჟლიტეს აგრე იდღესასწაულეს სომხებმა საქართველოს პოლიტიკური აღდგენა და მისი რესპუბლიკანური წესწყობილება.

მადლობა ღმერთს: ეხლა ყველაფერი აშკარაა და გაშუქებული. გაიბნა ბურუსი, დადგა ჟამი საშინელი ანგარიშისა. უნდა ერთხელ და სამუდამოდ გაიწმინდოს საქართველოს ტერიტორია ჯაშუშებისა და მოღალატეებისაგან, უნდა ერთხელ და სამუდამოდ აღდგენილ იქმნას ძველი, ისტორიული საზღვარი საქართველოსი—ჯაჯურის ქედი.

**გიორგი გვაზავა.**

## ომი ბოლომდის!

მახვილი ამართულია! ვერაგ მტრის თავდასხმას ჩვენი ჯარი მამაცურად იგერიებს.

მომზადებულ და ყველაფრის გათვალისწინებულ მტერს, ჩვენი მხრით მოუმზადებელი მოწინააღმდეგე ხვდება.

მდგომარეობა უსწოროა, მაგრამ რაინდობაც ამ უსწორობისთვის არის საჭირო.

უკანასკნელი ცნობები სიამაყით აავსებს ყოველი ქართველის გულს!

სადახლოსკენ ჩვენმა ჯარმა გმირულათ უკუ აქცია სომხები.

ალავერდის იქით ორი სოფელი დაიკავა.

ღენერალმა მაყაშვილმა ახალქალაქის მაზრა გასწმინდა.

პირველ დამარცხებათ გმირული გამარჯვებანი სცვლიან.

და ამ შეცვლით, იცვლება იმათი განწყობილებაც, ვინც მოღალატური ღიმილით შესცქეროდა ჩვენს გაჭირვებას.

შეიარაღებულ მამლაყინწობას მშვიდობიანობის რჩევა სცვლის და საომრად აღტაცებულ ხალხში შეაქვთ ლოზუნგები სამშვიდობო მოლაპარაკებისა.

მშვიდობიანობის დრო გათავდა.

იარაღს იარაღი დაუპირდაპირდა, ძალადობას თავდაცვა და საომარ მოქმედებას—ესეთივე პასუხი.

ჩვენ გაგვიწვიეს ბრძოლის ველზედ და უშედეგოთ სახლში ვერ დავბრუნდებით.

ამოღებული მახვილი უსისხლოთ ქარქაში ვერ ჩაიგება!

ის, ვინც დღეს ომის შეწყვეტას გვირჩევს, მტერია ჩვენი და ეს რჩევანიც მხოლოდ მტრის ბანაკიდან მოდის.

ხალხში მეორე ჭორიც ვრცელდება თითქოს ინგლისელები ითხოვდენ საომარ მოქმედების შეჩერების და სადაო ადგილებიდან ორივე მხარის დახევას.

ესეც სომხების მოგონილია და არავითარ ესეთს მოთხოვას ადგილი არ ჰქონია.

თუ მაშინ, როდესაც სომხეთი საომრათ ემზადებოდა და მოღალატურათ ირაზმებოდა, იგი არავინ შეაჩერა, რატომ უნდა შეაჩერონ იგი ეხლა?

თუ მაშინ, როდესაც სომხეთის ჯარმა ჩვენი საზღვრები გადმოლახა და თავს დაესხა ჩვენს მშვიდობიან რაზმებს, რომელი სამართლის ძალით უნდა შეაჩეროს ვინმემ ჩვენი პასუხი დღეს, როდესაც შეურაცხყოფა ანაზღაურებული არ არის?

არა! ინგლისელებს ამაში ხელი არ უდევთ და მხოლოდ სომხების მოგონილი ჭორია!

ჩვენმა ერთსულოვნობამა და მტრისათვის დამლუპველმა აღტაცებამ ცუდი წინათგრძნობანი უმხილა სომხებს ეხლა ლა საომარი პათოსი ჰსურთ ჩააქრონ ქართველ ხალხში?

საქართველო ომშია გახვეული და ის იომებს ბოლომდის.

მაგრამ შეიძლება ქართველ ხალხშიც მოიძებნონ ეჭვიანები და თუ სომხის მთავრობამ სამშვიდობო ხელი გამოგვიწოდა, პასუხისათვის შესაძლოა შეფიქრიანდნენ.

მათ უნდა დაიჯერონ ჟორდანიას სიტყვები:

„კაჩაზნუნის მთავრობას არ შეუძლიან მშვიდობიან დამოკიდებულებაში იმყოფებოდეს მეზობელ სახელმწიფოებთან; მან მუდამ უნდა აწარმოვოს ომი და მტრობა".

და არა მარტო კაჩაზნუნის მთავრობა: ეს მთავრობა გამომხატველია სომხის ერის უმრავლესობისა.

და ეს ერი მუდამ და ყველგან სთესავდა მტრობას.

დღეს რომ ჩვენ ომი არ შევწყვიტოთ, ამისთვის მწარე გაკვეთილი მივიღეთ ორი თვის წინად:

ჩვენ დავუჯერეთ მათ და დღევანდელსავით შემოსეულ მტრის წინააღმდეგ მოქმედება შევაჩერეთ, რომ მშვიდობიანად გაგვემიჯნა ჩვენი საზღვრები;

სომხები დასთანხმდნენ მაშინ და უკან დაიხიეს მისთვის, რომ დარაზმულიყვნენ და უფრო ძლიერად ჩაეცათ მახვილი დამშვიდებულ საქართველოსთვის.

ეროვნულმა დემოკრატიამ გერონტი ქიქოძის პირით საკმაო ნათლად ახსნა სომხების იმპერიალისტური ზრახვანი, რომ მაშინდელი მოძრაობა მხოლოდ რამოდენიმე პირის ავანტიურათ არ ჩათვლილიყო.

ჩვენი ორატორის საპარლამენტო დეკლარაცია ურყევი დამტკიცება იყო იმისა, რომ სომხების მოძრაობა ლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს“ რედაქციის ფონდი. დაეხმარეთ ფ ო ნ დ ი ს გაძლიერებას!**

ლიკური დასკვნაა მათი ეროვნული მოძრაობისა.

მაგრამ გერონტი ქიქოძე მაშინ განმარტოებული იყო.

დღეს-კი ურწმუნონიც დარწმუნდენ მის სიტყვების სიმართლეში და მშვიდობიანობისა და ერთა შორის ძმობის ქადაგებაში დაბერებული, ნოე ჟორდანიაც კი აცხადებს:

„იქ, სადაც არ მოქმედობს უფლება, იარაღმა გადასწყვიტოს უფლების საკითხი; იქ, სადაც სდუმს შეგნება, იარაღი ალაპარაკდეს, ჩვენ ამისი არ გვეშინია“-ო·

დიაღ, ჩვენ ამისი არ გვეშინია და რადგან ეს იარაღი ხელთ არის აღებული, მან უნდა გადასწყვიტოს ჩვენი უფლების საკითხი;

გველის შხამი რომ უვნები იქნეს, მას თავი უნდა გიუჭყლიტონ; ნახევრად გაპობილს კი ისევ შეუძლია კბენა.

სომხების შხამიც ესევე უნდა გავხადოთ სამუდამოთ უვნები;

საქართველოს სხეულის დამშვიდება ისე არ იქნება, თუ სომხის ერი არ მოიდრიკა.

ჩვენმა ერმა უნდა ისე მოღუნოს იგი, რომ სამუდამოდ დაავიწყონ ავი ოცნებები.

ამისთვის ჩვენი ლოზუნგია ომი ბოლომდის!

ლ. ჯაფარიძე.

## საქართველოს ელზას-ლორენი

სომხების გაზეთები სწერენ: ლორი და ჯავახეთი ელზას-ლორენიაო. დიახ, იგი საქართველოს ელზას-ლორენია, მაგრამ სომხობამ იცის თუ არა, რას ჰქვიან ელზას-ლორენი?

ელზას-ლორენი გახლავთ პროვინცია, რომელშიც აღმართულია ორი ციხე-სიმაგრე,—მეცი და სტრასბურგი, და ამ ციხეებს ისეთი სტრატეგიული ადგილი უჭირავთ, რომ ემუქრებიან მთელს ევროპას პირენეის მთებიდან ვიდრე ბალტიის ზღვამდე.

უკანასკნელი 40 წელიწადი, რაც გერმანიამ ეს პროვინცია ხელთ იგდო საფრანგეთი შეწუხებული და შევიწროვებული იყო ისე, რომ მინისტრი ვერ დაენიშნათ, თუ ის გერმანიას არ მოეწონებოდა. ყოველ შემთხვევით სარგებლობდა გერმანია, რომ საფრანგეთი დაემცირებინა და შეეწუხებინა, და საფრანგეთს-კი ვერა გაებედნა-რა. ამგვარი უპედურების ატანა მხოლოდ ფრანგის ერს შეეძლო, მხოლოდ მას შეეძლო მომზადებულიყო, დასძგერებოდა ლომივით გერმანიას და წაერთმია თავისი ელზას-ლორენი.

ჩვენ ხომ ფრანგებს ვერ შევედრებით. ქართველ ერს მრავალ ათასწლოვანი კულტურა და სახელმწიფოებრივი ტრადიციები აქვს, მაგრამ სად საფრანგეთი, სად საქართველო. დღეს თუ პირველი ერი ქვეყანაზე ინგლისელები არიან, მეორე ფრანგებია, და ორივე ესენი მიწიერი ღმერთები არიან. ჩვენ იმათ ვერ შევედრებით და უფრო ფრთხილად უნდა ვიყვეთ ჩვენი საზღვრებისათვის.

თუ კავკასიაში რომელიმე ერს თავისი სახელმწიფოს აშენება ეღირსება, ეს უწინარეს ყოვლისა ქართველი ერის ხვედრია, ეს საქართველო უნდა იქნეს, იმიტომ რომ ისტორიის მახსოვრობაში კავკასიის ბატონ-პატრონი ქართველი ერი ყოფილა, და თუ საქართველო დასუსტდებოდა და ვერ ჰპატრონობდა, ვერც სხვას უბატონებია ხანგრძლივათ და თავისუფლად.

იმიტომ რომ მობაზენის თქმით კავკასია ხიდია, სადაც მიგორავდნენ ხალხთა ტალღანი აღმოსავლეთიდან დასავლეთით და სამხრეთიდან ჩრდილოეთით, და ამ ხიდზე გაჩერება არავის შეეძლო. ხოლო ქართველი ერი არა თუ გაჩერებულა, აუშენებია თავისი სახელმწიფო და სახელმწიფო მაღალი ორგანიზაციის—ფეოდალურიარისტოკრატიული მონარქია.

ამისთანა ყოფილა ქვეყნის კიდეზე, სადაც მზე ამოდის—იაპონიაში,—იქ ჩვენ ხელი არ მიგვიწვდოდა, არც გაგვიგონია; კიდევ ყოფილა იქ, სადაც მზე ჩადის—ევროპაში, მაგრამ იქ ჩვენს შემდეგ შეუქმნიათ.

ეს სახელმწიფო ათასი წლობით შეგვინახავს და რუსეთისათვის ჩაგვიბარებია. დღეს რუსეთი დანგრეულია, და ჩვენ ჩვენ თავს უნდა მოუაროთ. ხოლო ერის ცხოვრება სახელმწიფოს გარეშე შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ ვაშენებთ ჩვენ საკუთარ სახელმწიფოს, და სახელმწიფოს კი თავისი ისტორიული ტერიტორია აქვს, თავისი სტრატეგიული პუნქტები და თავისი პროვინციები, არა მარტო ისტორიულად, ეკონომიურადაც მასთან დაკავშირებული. ეს გახლავთ ბორჩალოს მაზრა, ლორი და ბამბაკი, და ჯავახეთი. ეს მტკიცედ იცის ქართველმა ერმა, მტკიცედ უნდა იცოდეს მისმა მთავრობამ, და მტკიცედვე უნდა ამცნოს სომხობას, რომ ისინი შეცდომით საშინელ განსაცდელში არ ჩავარდენ.

საქართველო ვერცერთს თავის სტრატეგიულ პუნქტებს და პროვინციებს ვერ დასთმობს,—ეს იქნებოდა არა მარტო დამოუკიდებლობის დაკარგვა, არამედ ქართველი ერის მოსპობის დასაწყისი. ეს უნდა ყველამ იცოდეს მტკიცედ.

ზ. გამსახურდია

# პ რ ე ს ს ა

## სომხური პრესა

### სომეხ-საქართველოს ომისათვის.

„ნორ ჰორიზონი“ (№ 22, 18 ქრისტეშობისთვე) შემდეგ სტრიქონებს უძღვნის საქართველოს და სომხეთს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას:

...„ჯერ კიდევ გენიოსმა გეთემ სთქვა, რომ სიტყვებისგან აშენებული ხიდი უაღრესად სუსტი და სიმტკიცეს მოკლებულიაო.

და, ჭეშმარიტად, როცა კითხულობ ევ. გეგეჭკორის დეკლარაციას და საქართველოს მთავრობის მოწოდებას უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისადმი შეუძლებელია ერთხელ კიდევ არ დარწმუნდეთ იმ ჭეშმარიტებაში, რომ უაზრო, უშინაარსო და ცრუ სიტყვებით მართლაც შეუძლებელია მტკიცე ხიდის აშენება.

ჩვენ საკვეყოდ ვაცხადებთ, რომ 1) საქართველოს მთავრობის დეკლარაციაში ფაქტები და მოვლენები უმოწყალოდაა დამახინჯებული, 2) სომხეთის მთავრობის უსაზღვრო სამშვიდობო ცდანი უსირცხვილოდ იყო გამოყენებული საქართველოს იმპერიალისტ მმართველთა წყალობით მთელი ამ სამწუხარო ისტორიის მიმდინარეობის დროს და უკანასკნელ 3) ჩვენ ვაცხადებთ და ვამტკიცებთ, რომ, თუ ამ ქვეყნად კიდევ არსებობს სინიდისისა და სამართლიანობის სულ მცირე ნაპერწკალი მაინც, შეუძლებელია სამუდამოდ სამარცხვინო ბოძზე არ იქნენ გაკრულნი საქართველოს მმართველნი, რომელნიც თავისი შოვინისტური, ანტიდემოკრატიული, დამპყრობელობითი და ულმობელი პოლიტიკით დღევანდელი სამარცხვინო ისტორია შექმნეს.

მერმე გაზეთი აღნიშნავს, რომ საქართველოს „ინტერნაციონალისტებმა„ ერთი ერთმანეთზე დაიპყრეს: ლორი, სადაც მარტო სომხები მოსახლეობენ, ახალქალაქი, რომელიც „ისტორიულად, პოლიტიკურად და ზნეობრივად უდავო“ საქართველოს ტერიტორიად გამოაცხადებს, და ახლა ბორჩალოს იპყრობენ, სადაც, წინაღმდეგ გეგეჭკორის მტკიცებისა, რომ ქართველი ჯარი მხოლოდ 13 დეკემბერს ჩაერია საქმეში და აალაპარაკა არტილერია და ტყვიისმფრქვეველები მხოლოდ თავის დასაცავად სომხურ ჯარის ნაწილების აგრესიულ მოქმედებიდანო, უკვე 9 ქრისტეშობისთვიდან აამუშავეს არტილერიის და ტყვიისმფრქვეველების ცეცხლი სოფლელების წინააღმდეგ, როგორც ამას მოწმობს „Борба“-ში დაბეჭდილი ცნობა (10 დეკ. № 241): „Начальник бронированнаго поѣзда № 1 телеграфно сообщил штабу бронированныхъ поѣздовъ, что 9-го декабря, 8 ч. у. наш отряд отправился в селеніе Узунляр. По дорогѣ отряд был обстрелян армянами, занявшими гору. С. бронированнаго поѣзда отвѣтили артиллерійским и пулеметным огнем“...

„და დასასრულ, საქართველოს მთავრობა სინიდისის უმხილებლად, აცხადებს საყოველთაოდ, რომ სომხური ჯარები ქრისტეშ. 9-დან დაწყებული მონაწილეობას იღებდენ საქართველოს ჯარის წინააღმდეგ აჯანყებულ სომეხ სოფლელთა სამხედრო მოქმედებაშიო, როცა თვითონ ამ მთავრობამ კარგად იცის, რომ ყოველივე ეს ტყუილია და რომ ამ მიდამოს პოლიტიკურმა და სამხედრო უფროსმა დრომ რამდენჯერმე მიმართა საქ. მთავრობას, მაგრამ უნაყოფოდ—სისხლისღვრის თავიდან აცილების გულისათვის, რომ მას გაეყვანა ლორიდან ქართული ჯარები და იქ მხოლოდ ქართული ადმინისტრაცია დაეტოვებია... მაგრამ ჩვენ კიდევ გვაქვს სათქმელი“...

ასე შევვიბრუნა კეხი „ნორ-ჰორიზონმა“ და საქართველოს მთავრობას აბრალებს აგრესივობას, რაშიაც ბრალი სომხეთის მთავრობას ედება. ამაზეა ნათქვამი: „ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო“, მაგრამ საქართველოს ერს და მის ხელმძღვანელებს ასეთი ფეხმოკლე ტყუილებით „გულს ვერავინ მოუკლავს და ის შესძლებს დაიცვას თავი სომხეთის ავანტიურისტულ თავდასხმისაგან“.

* *

„აშხატავორი“ (№ 208) ამტკიცებს, რომ სანაინის ამბებს ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა 14 ქრისტეშ. „ეს იყო წმინდა ადგილობრივი ხალხური მოძრაობა“, რომლის მსგავსიც ბევრი გვინახავს საქართველოში ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში: მცხეთაში, აღბულახში. **გურიაში** (?! ხაზი ჩვენია. გურიაში აჯანყება საკუთარი აღმოჩენაა „აშხატავორისა“) და მასში სომხეთის მთავრობა არ ერეოდა, მაგრამ როცა ქართველმა ჯარმა შეავიწროვა და შეაწუხა ადგილობრივი სომხობა, სომხეთის მთავრობა „1) **დაეხმარა მას** (ხაზი აშხ.), 2) **დაიბრუნა უკან უსამართლოდ წართმეული ტერიტორია**“ და ჩვენ ამ საქციელში ვერ ვხედავთ ვერაფერს, რასაც შეიძლებოდეს „მოღალატეობის“ და „მუხანათური თავდასხმის სახელი ვუწოდოთ“, როგორც ამას საქართველოს მთავრობა სჩადისო...

ჩვენ მუდამ ერთგულნი ნამდვილი დემოკრატიზმის ურყეველი პრინციპებისა, ვამტკიცებთ ამ შემთხვევაშიაც რომ 1) უნდა დავუჯეროთ ისტორიის გაკვეთილს და არ უნდა შევქმნათ ახალი „ელზასლორენები“, რომელნიც რევანშის გრძნობით მოწამლავენ ორივე ქვეყნის დემოკრატიის კეთილ-მეზობლურ განწყობილებას და სოციალურ სოლიდარობას; 2) **შემდეგ რომელიმე ერის საკუთრება, მაგრამ უცხოელთა მიერ წართმეული ტერიტორიის დაბრუნება, თუგინდ იარაღის საშუალებითაც, არასდროს ომად არ ჩაითვლება**; 3) საქართველოს რესპუბლიკამ კარგად იცის ყოველივე ეს და ის რომ ამ შემთხვევაში უფლება და სამართლიანობა უეჭველად სომხეთის რესპუბლიკის მხარეზეა და ამიტომ მან თანახმად დემოკრატიული სოლიდარობისა და საერთაშორისო სამართლის კანონებისა, სასწრაფოდ უნდა დასცალოს სომხეთის ტერიტორიის ძალით აღებული ადგილები ხრამის მდინარემდე.

ამნაირად შესაძლებელი იყო და ჯერ კიდევ შესაძლებელია ადვილად და მშვიდობიანად, უსისხლოდ, მოეღოს ბოლო სანაინის კონფლიქტს, რომელიც სრულიადაც არ არის ომი. მხოლოდ უნდა ვიყოთ სამართლიანი და უფლება მივსცეთ სომხეთის რესპუბლიკას, მის ხალხს, დაეპატრონოს თავის დანგრეულ სახლ-კარს და მისი საქციელი არ უნდა დავსახოთ „მუხანათურ თავდასხმად“ ან „მტრობად“, სწორედ ისე, როგორც ოსმალეთი „მტრობად“ ან „მოღალატეობად“ არ სთვლის, რომ სომხეთის რესპუბლიკამ დაიბრუნა დღეს სუმარლო, ალექსანდროპოლი და ხვალ სწორედ იმავე შეუდავებელი უფლებით უნდა **დაიბრუნოს** ვანი და ალაშკერტი...“

* *

„ჟოღოვურდი ძაინი“ (№ 84) მოუწოდებს ორივე ერის ინტელიგენციას, შეგნებულ და პასუხისმგებელ წრეებს, რომ ყოველი ღონე იხმარონ და დროებითი ზავი ჩამოაგდონ და ამ ზავის დროს მშვიდობიანად გადასჭრან სადავო საკითხები.

გაზეთი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ წარსულში თითქმის არ ყოფილა სომხეთსა და საქართველოს შორის ომები და დღეს, როცა ორივე ერის ბედს განაგებენ „სოციალისტები“, მუდამ შოვინიზმისა და ნაციონალიზმის მდევნელნი და მაძაგებელნი, სწორედ დღეს იღვრება მოძმეთა შორის სისხლი.

დეე როგორც უნდათ გაამართლონ ეს ახალი ომი ორივე მხარის „ხელმძღვანელებმა“ ჩვენთვის ყველა ეს დასაბუთება არაფერს ნიშნავს იმ ცხად ფაქტთან შედარებით, რომ ქართველი ჰღვრის სომხის სისხლს, სომეხი კი ქართველისას. და რადგან ჩვენი სინიდისი ვერაფერის გზით ვერ შერიგებია ამ მძიმე გარემოებას, ჩვენ მოვითხოვთ, რომ ბოლო მოეღოს ამ სისხლის ღვრას... ჩვენ მოვითხოვთ დროებით ზავს“.

* *

**გერმანული ორგანო მობილიზაციის შესახებ.**

სომხეთ-საქართველოს შეტაკებისა და მობილიზაციის გამოცხადების გამო გერმანული გაზეთი „კავკაზიშე პოსტი“ სწერს:

„მთავრობის ცნობა, 16 ქრისტეშობისთვის თარიღით აღნიშნული, აცნობებს საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეებს, რომ სომხეთის რესპუბლიკასთან კონფლიქტი დაიწყო, რომელიც შეიძლება ომით დამთავრდეს თუ სომხებში კეთილგანწყობილებამ არ გაიმარჯვა... სამწუხაროა ის შეგნება, რომ მსოფლიო ომის საშინელი გაკვეთილების შემდეგ კიდევ მოიპოვებიან ფიცხელი და ჰირვეული ელემენტები, რომელნიც მთელ ხალხს ომის უფსკრულში აგდებენ და თავიანთი ეგოისტური მიზნების განხორციელებას სცდილობენ. მაგრამ თუ ბედისწერა აუცილებელია, ჩვენ უკან არ უნდა დავიხიოთ და ჩვენი სამოქალაქო ვალდება მოვიხადოთ, რაც უნდა დაგვიჯდეს“.

* * *

**„ერთობა“ საქართველოს გაწმენდაზე.**

საქართველო-სომხეთის ომმა წამოაყენა საკითხი საქართველოს გაწმენდის შესახებ. დღეს ყველასათვის აშკარა გახდა, რომ როცა სომხეთი თავზე დაგვესხა და საქართველო გარემოცულია შიგნით ჩვენი მოსისხლე მტრებით, რომელნიც არაფერს არ ზოგავენ ჩვენი რესპუბლიკის დასაღუპავათ საჭიროა მათ წინააღმდეგ შესაფერი ზომების მიღება.

ომის დროს ძეგვის ხიდის აფეთქების განმეორება ნამდვილ ეროვნულ კატასტროფათ შეიძლება გადაიქცეს და საქართველოს მოუსპოს თავდაცვის საშუალება... არ არის არც ერთი დარგი ჩვენ სახელმწიფო ორგანიზმის, რომელშიც არ ერიოს ჩვენი მტრები და ჯაშუშები და თუ მათი მოქმედება წინდაწინ არ აილაგმა საქართველოს დაღუპვა არ ასცილდება. საკმაოა მოვიგონოთ რომ ჩვენი მტრები უკვე სააშკაროზეც გამოვიდენ ქართულ პარლამენტში და ქალაქის საბჭოში, რამაც მთელი საქართველოს აღელვება გამოიწვია. ჩვენ დიდი ხანია შევნიშნეთ ანორმალური მოვლენა და ვაფრთხილებდით მთავრობას და მის დამხმარე პარტიას, მაგრამ „ინტერნაციონალური უგარი“ ისეთი მაგარი იყო, რომ ამას შოვინისტობაში გვითვლიდენ.

— საჭირო იყო ომის დაწყება და კატასტროფის მოახლოვება რომ „ერთობასაც“ შეენიშნა ასეთი გარემოება. გუშინდელ ნომერში სამეთაურო წერილში „ზურგის (თუ ქედის) გაწმენდა გაზეთი სწერს:

მაგრამ ბრძოლის ველზე, ფრონტზე ფიქრმა არ უნდა დაგვავიწყოს ზურგიც: მისი მოწყობა ისეთ წესზე, რომ ჩვენს მეომრებს აღარ დასჭირდეთ ერთი თვალის უკან დაჭერა, რომ მთელი მათი გულის ყური მტერზე იყოს მიპყრობილი,—აი ჩვენი მახლობელი საქმე საომარ მოქმედების დასაწყისშივე. ზურგი უნდა გაიწმინდოს ყველა იმ ელემენტებისაგან, რომლებსაც ოდნავაც ეჭვის აღძვრა შეუძლიანთ თავის ერთგულების მხრით. ომის დროს ჩვენში არა აქვს ადგილი არა მარტო მათ, ვინც ჩვენი რესპუბლიკის აქტიური მოწინააღმდეგეა, არა მარტო მათ, ვინც ჩვენს ქვეყანაში სცხოვრობს და იმავ დროს სხვა სახელმწიფო ძალების შემოსვლას ელის. ჩვენ ქვეყანაში ომის დროს არ უნდა ჰქონდეს ადგილი იმ ელემენტებსაც, რომლებსაც ასე თუ ისე შეუძლიანთ ხელი შეუშალონ ჩვენს ჯარს სამხედრო მოქმედების დროს. და ვინ არ იცის, რომ ჩვენი სოციალისტური მთავრობის ლმობიერ პოლიტიკის წყალობით ამნაირი ელემენტებით სავსეა ჩვენი ქვეყანა და უმთავრესად ჩვენი დედა-ქალაქი, რომ ისინი ჩვენში სარგებლობენ სრული პოლიტიკური თავისუფლებით, რომ მათ შეუძლიანთ თავისუფალი ლაპარაკი, წერა, მოქმედება, რომ მათ აქამდის ამ მხრივ ხელს არავინ უშლიდა, თუმცა ეს მათი თავისუფლება ჩვენი მთავრობისა და ხშირად ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ აყო მიმართული.

ომის დროს ყველა ეს დაუშვებელია. გაიგოს ქვეყანამ, რომ მუხანათმა მტერმა, რომელიც აქამდის მოძმის ქურქში იყო გახვეული, დანა ყელში მოგვაბჯინა და ულმობელად სიკვდილს გვიქადის. **ჩვენ გვინდა სიცოცხლე შევინარჩუნოთ, სიცოცხლისთვის იბრძვის დემოკრატია!** ეს უნდა იცოდეს ყველამ და ვისაც ამ საქმეში ჩვენი დახმარება არ უნდა, მას ჩვენს დედა-ქალაქში ალაგი არ აქვს.

**„ის, ვინც მომხრეა საქართველოს რესპუბლიკის, ჩვენთან იქნება. ის, ვინც ამაში ჩვენ მხარს არ დაგვიჭერს, მტერია საქართველოსი და აქ ვერ დარჩება“.**

ასე სთქვა პარლამენტის უკანასკნელ კრებაზე მთავრობის თავმჯდომარემ და დემოკრატიის ბელადმა ნოე ჟორდანიამ [illegible] მედი ლოზუნგი უნდა დაუყოვნებლივ იყოს განხორციელებული.

# საქართველო-სომხეთის ომი

## ბრძოლის ველზე

**ახალქალაქის მაზრის გაწმენდა სომხებისაგან**

უკანასკნელ საათში მოსულ ცნობით გენერალ მაჟაშვილმა ახალქალაქის მაზრა სრულიად გასწმინდა სომხებისაგან.

—

**19 ქრისტეშობისთვე. სამხედრო შტაბის ცნობა**

**სადახლოსთან.** 18 ქრისტეშობისთვეს, დაახლოვებით 5 საათზე სომხების ნაწილებმა სადახლოსთან ისარგებლეს ღრუბლიან ამინდით, ჩამოუშვენ მთებიდან და ჩვენს ნაწილებს შემოუტიეს, მაგრამ ისინი მალე დიდად დაზარალებულნი მოვიგერიეთ. მალე მტერმა ისევ განაახლა შემოტევა, მაგრამ ჩვენი ნაწილების კონტრშეტევით იძულებული შეიქმნა გაქცეულიყო, რის შემდეგ ბრძოლის ველზე დატოვეს 3 ოფიცერი და რამოდენიმე ათეული ჯარის კაცი. ტყვედ წამოყვანილია 2 ოფიცერი (ერთი მათგანი რუსია) და 37 შეიარაღებული ჯარის კაცი.

—

**ახალქალაქის მაზრაში.** ახალქალაქის მაზრაში მდგომარეობა უცვლელია. გამოირკვა, რომ ყველგან ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ სომხეთა რეგულიარული ნაწილები.

—

**ტყვედ წაყვანილთა დახვრეტა**

პირველ დღეებში ტყვედ წაყვანილი 5 ქართველი ჯარის კაცი სომხებს დაუხვრეტიათ.

—

## ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ

16 ქრისტეშობისთვე 1918 წ. № 103.

საომარ ასპარეზზე მყოფი ლაშქარი სხ. და სხ. მიზეზების გამო მოკლებულია სასმელ საჭმელებს, რომ ასეთმა შემთხვევამ მეომართ არ ავნოს საქართველოს ჯარის მომრიგებლის უფროსის მიერ ამა წლის 24 ივლისის ბრძანებით დამტკიცებული ნახევარი მისხალი ჩაის და 8 მისხალი შაქრის რაოდენობა, გადადებულ იქმნეს ბრძოლის ველზე მყოფ ლაშქრისათვის ჩაისა სამი მეოთხედ მისხლამდის და შაქრისა 12 მისხლამდის. განსაზღვრა ომის ასპარეზისა ზურგის ჯარისაგან მიენდოს ლაშქრის მთავარ სარდალს.

სამხედრო მინისტრი **გიორგაძე.**

—

## დეპეშა ქუთაისიდან

მთავრობის თავმჯდომარის სახელობაზე ქუთაისიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: სრულიად ქუთაისი იმედიან აღტაცებით შეეგება მთავრობის ბრძანებას მობილიზაციის მოხდენაზე. გაიმართა დიდი მანიფესტაციები: მთელი ხალხი მზად არის იარაღით ხელში დაიცვას საყვარელი, დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო. მრავალ ათასიან რიცხოვანი მიტინგი გესალმებათ თქვენ. გაუმარჯოს ქართველ ერს, მის სახელოვან ლაშქარს და რევოლუციონურ ჩვენ მთავრობას. მიტინგის თავმჯდომარე.

—

## სომხების დეპეშა ბორჯომიდან

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია ბორჯომიდან შემდეგი დეპეშა: „შოვინისტურ მიმართულებამ შექმნა სომეხ-ქართველთა ურთი-ერთობაში მტრული განწყობილება, რომელიც დღითი დღე ვითარდება და გვიქადის სისხლის ღვრას. თუ ეს ანტაგონიზმი განვითარდა და რეალური შედეგები მოჰყვა ეს დაღუპვისაკენ წაიყვანს როგორც ქართველ ისე სომხის დემოკრატიას. ჩვენ ბორჯომში მცხოვრები სომხეთა საზოგადოება, როგორც თავისუფალ საქართველოს ქვეშევრდომებს, მეტად გვაღელვებს აღნიშნული მდგომარეობა, რადგანაც ის მოვლენა, რომელიც მავნებელია საქართველოს რესპუბლიკისათვის, მავნებელია და შემაძრწუნებელი აგრეთვე სომხეთათვის. ამიტომ ზემოხსენებული სომხეთა საზოგადოება ჰგმობს რა იმ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებენ სომხის და ქართველთა შურის-ძიებით გაჟღენთილი ნაციონალისტები, გთხოვთ თქვენ, ნოე ნიკოლოზის ძევ, მიიღეთ ყოველივე ზომები სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად, და სომეხქართველთა შორის სადავო საკითხების გადასაჭრელათ კონფერენციის და არბიტრაჟის საშუალებით. რეზოლუცია გამოტანილ იქმნა 16 ქრისტეშობისთვეს სომხეთა საზოგადო ყრილობაზე. ყრილობის თავმჯდომარე კ. დავტიანცი.

—

**მისალმება საქართველოს ჯარსა და გვარდიას.**

საქართველოს პარლამენტი სალამს უძღვნის საქართველოს რესპუბლიკის ჯარს და სახალხო გვარდიას, რომელნიც თავიანთი სისხლით იცავენ საქართველოს რესპუბლიკას ვერაგულ თავდასხმისაგან.

—

**სომხის ტყვეების ჩამოყვანა.**

ოთხშაბათს 18 ქრისტეშობისთვეს თბილისში ჩამოიყვანეს სომხის ტყვეები რიცხვით 60 კაცი. აქედან 40 კაცი სამხედრო ტყვეებია სადახლოსთან საომარ მოქმედების დროსი. ტყვეები სომხეთა 4 პოლკის ჯარისკაცები არიან, ამ პოლკს მეთაურობს თბილისის მცხოვრები პოლკოვნიკი მირიმანოვი. ტყვეებში ორი ოფიცერია ერთი მათგანი რუსი გვარად ერკომსკი. მათის თქმით ამ ბრძოლის დროს 4 პოლკს დიდი ზარალი უნახავს. 20 კაცი ჩამოიყვანეს სოფელ მამაიდან, აგიტაციისათვის. მათ შორის ინტელიგენტებიც არიან. ერთი ექიმი და ერთიც თბილისის სტუდენტია.

—

**პროფ. კავშირის სეკრეტარიატის საბჭოს კრება.**

სამშაბათს 17 ქრისტეშობისთვეს პროფესიონალური კავშირის საბჭოს სეკრეტარიატის კრება შესდგა. კრებაზედ გაირჩა სანაინთან და ვორონცოვკასთან მომხდარი ინცინდენტი. კრებამ ერთხმად დაადგინა: პარასკევს 6 ნახ. საათზე მოიწვიოს შეერთებული კრება ყველა კავშირების გამგეობის საბჭოსთან ერთად სადაც ეს საკითხი განხილულ იქნება.

—

**სავალდებულო დადგენილება. ქ. თბილისის და მისი მიდამოების გენერალ-გუბერნატორისა.**

ჩვენდამი რწმუნებული საგენერალ-გუბერნატოროში აღკრძალულია ბეჭდვა და გაყიდვა იმ ცნობებისა რომელნიც გამომდინარეობენ კერძო აგენტების და წყაროებისაგან.

ნება დართულია ბეჭდვა-გაყიდვა საქართველოს ოფიციალური დეპეშათა სააგენტოს დეპეშებისა. ის პირნი რომელნიც ამ დადგენილებას დაარღვევენ დატუსაღებული იქნებიან 1 წლითა და ექვსი თვით ან დაჯარიმებული იქნებიან 10,000 მანეთით.

გენერალ-გუბერნატორი. გენერალ-მაიორი **მაზნიაშვილი.**

—

## საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია

„მოისმინა რა მთავრობის მოხსენება შესახებ სამხედრო მოქმედებისა საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკებს შორის, პარლამენტი აღიარებს:

1. რომ საქართველოს მთავრობას არავითარი საბაბი მტრული განწყობილებისა არ მიუცია სომხეთის მთავრობისათვის. რომ მან მიიღო ყოველივე ზომა ორ მოძმე სახელმწიფოთა შორის საქმის მშვიდობიანად გადაწყვეტისათვის.

2. რომ სომხეთის მთავრობის ჯარი ვერაგულად შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში, მოულოდნელად თავს დაესხა საქართველოს ჯარის სადარაჯოებს, მრავალი ჯარისკაცი დახოცა, მრავალი ტყვედ წაიყვანა.

პარლამენტი იწონებს მთავრობის ყველა მოქმედებას და მისგან მიღებულ სამხედრო ზომებს, რომლებიც მიმართულია საქართველოს მტერთა ასალაგმავად აღუთქვამს მთავრობას ყოველს დახმარებას რესპუბლიკის დასაცველად და აცხადებს, რომ რესპუბლიკის ძალები მიმართულია არა სომეხ ხალხის წინააღმდეგ, არამედ წინააღმდეგ სომხეთის მთავრობის და იმ წრეებისა, რომელთა პოლიტიკას მიზნად აქვს ხიდი ჩატეხოს საუკუნოებით მეგობრულ ერთა შორის და როგორც ქართველს, ისე სომეხ ხალხს განადგურებას უქადის“.

რეზოლიუცია პარლამენტმა მიიღო ერთხმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მობილიზაცია

მთავრობამ დაადგინა დაუყოვნებლივ მოხდეს საქართველოს ქვეშევრდომთა 1892, 1893, 1894 და 1895 წ.წ. დაბადებულთა საყოველთაო მობილიზაცია. თბილისის სამხედრო უფროსმა პოლკ. ჟღენტმა ბრძანება გამოსცა, რომ 1892, 3, 4 და 5 წ.წ. დაბადებულნი ქრისტეშ. 18-დან უნდა გამოცხადდენ სამაზრო სამხედრო სამმართველოში, ვაგზლის პირდაპირ. გაწვეულია ექიმებიც 35 წლამდე. იქვე სწარმოებს მოხალისეთა მიღება ყოველ დღე დილის 8 სათ. საღამოს 12 საათამდე.

—

## სომხური პრესა ინგლისის ჩარევის შესახებ

გაზ. „ორიზონ“-ში დაბეჭდილია ცნობა, რომ ინგლისის მისიამ წინადადება მისცა სომხეთის და საქართველოს მთავრობებს სამხედრო მოქმედება შეაჩერონ, ორივე სახელმწიფოს ჯარებმა დასცალონ სადაო ადგილები, რომლების მართვაც შერეულ ადმინისტრაციას გადაეცემა.

—

## სამხედრო წესები

მთავრობის დადგენილებით სამხედრო წესები გამოცხადდა თბილისისა და გორის მაზრებში. გუბერნიის კომისარს მიენიჭა გენ.-გუბერნატორის უფლებები ხსენებულ მაზრებში.

—

## მაჰმადიანები საქართველოს ჯარში

მთავრობამ სამხედრო მინისტრს მიანდო მოხალისეთა ჯარის ნაწილები შეადგინონ იმ პირთაგან, რომელნიც თანახმად მთავრობის დადგენილებისა მობილიზაციის შესახებ ჯარში გაწვეული არ არიან და წლოვანებით 18 წლისაზე ახალგაზდები არიან. საქართველოს ჯარში ამ დადგენილების თანახმად მიღებულ იქნებიან საქართველოში მცხოვრები მაჰმადიანებიც.

—

## რაზმის შედგენა

გზათა სამინისტროში უკვე შესდგა მოხალისეთა რაზმი. რაზმში ეწერებიან უკვე, როგორ გზათა სამინისტროს, ისე დანარჩენ ნაწილების მოსამსახურენი.

—

## ახალქალაქის საზღვარზე

(სამხ. შტაბის ცნობა).

16 ქრისტეშ. დაახლოებით საღამოს 5 საათზე სომხები ორ ესკადრონამდე უცბად თავს დაესხენ ჩვენს საველე დარაჯებს ახალქალაქის საზღვარზე. მცირე სროლის შემდეგ თავდასხმა მოგერიებულ იქმნა. მალე სომხების შემოტევა განახლდა, მაგრამ მისულმა ჩვენმა რაზმმა ხელახლა უკუ აგდო.

სომხებმა მიიღეს ახალი ძალები და განაახლეს შემოტევა საღამოს 8 საათ. და შეავიწროვეს ჩვენი ნაწილები სოფელ ტროიცკოესთან. ჩვენმა ნაწილებმა კონტრ-იერიშით მტერი განდევნეს სოფელ ტროიცკოედან და დადევნების შემდეგ ისინი საზღვარს იქით უკუაგდეს. ტყვედ წამოყვანილია 8 სომეხი. ბრძოლის ველზე მტერმა დასტოვა 15 მოკლული და 40 დაჭრილი. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა.

—

## სანაინისკენ

სანაინის მიმართულებით, ღამის განმავლობაში იშვიათად იყო სროლა.

—

## საქველმოქმედო საზოგადოება ჯარისათვის

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ გადასწყვიტა შეაგროვოს საშობაო საჩუქრები იმ ჯარის ნაწილებისათვის, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს განაპირა ადგილებში. საჩუქრად მიიღება: თამბაქო, პაპიროსის ქაღალდი, წუმწუმა, ჩაი, შაქარი, საცვლები, ცხვირსახოცები, ტანისამოსი, ფეხსაცმელები, ბაშლუყები, კონსერვები, ხილი, ღვინო, კონიაკი და სხვა—მიიღება საქველმოქმედო საზოგადოების კანტორაში, სასახლის ქუჩა № 5. ფულით შემოწირულება კი მიიღება სამეურნეო ბანკის შენობაში ბ. პ. ა. გოთუასთან, ბანკის მეცადინეობის დროს. სასახლის ქ. სახლი სარაჯიშვილისა, № 6.

საქველმოქმედო საზოგადოებამ ამ მიზნისათვის თავისი კასიდან გადასდო 50,000 მან. საჩუქრები დაეგზავნება ჯარს საზოგადოების მიერ განსაკუთრებით არჩეულ რწმუნებულების ხელით.

მთავარი გამგეობა თხოვს ფილიალურ განყოფილებებს ადგილობრივათ გახსნან შემოწირულების მიღება ჯარისათვის.

—

### კაფე „ხოკოლნიკის“ დახურვის შესახებ

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული გვქონდა ცნობა, რომ ადმინისტრაციამ დახურა დაშნაკცაკანების ბუდე კაფე—„სოკოლნიკი“ მისთვის, რომ სასტუმროს პატრონმა ნება არ დართო მემუსიკეთ შეესრულებიათ ქართველ ოფიცრების მოთხოვნილება, დაეკრათ ქართული ჰიმნი.

როგორც გავიგეთ ქართული ჰიმნის შესრულება მოუთხოვნიათ არა ქართველ ოფიცრებს, არამედ რაც მეტათ სასიამოვნოა, კაფეში დამსწრე ბერძნებს.

—

### თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოება

18 ქრისტეშ. შესდგა სასწრაფო კრება თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების გამგეობისა. კრებამ იქონია მსჯელობა თანამედროვე მომენტზედ და დაადგინა: 1) გადასცეს მთავრობას საჩაიე „ძმურ ნუგეშის“ წმინდა შემოსავალი ომის საჭიროებისათვის, 2) მოიწვიოს კვირას 22 ქრისტეშობისთვეს საზოგადო ქართველ ქალთა კრება ომთან შეკავშირებულ საკითხებზედ მოსალაპარაკებლად.

—

### ჩვენი თანამშრომლის დაჭრა

სანაინის ასპარეზზე სამი ტყვიით მარცხენა ხელში დასჭრეს ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ჯარისკაცი ნიკო კეცხოველი.

—

### სომხის ტყვეები

გუშინ თორმეტის ნახევარზე გოლოვინის პროსპექტით სანაინის ასპარეზიდან ჩამოყვანილი ოთხმოცამდე სომხის ტყვე ჩაატარეს.

—

### მოწაფენი ჯარში

მრავალი მოწაფე მიეშურება ჯარში ჩასაწერად გუშინ თელავიდან ჩამოვიდა 35 მოწაფე. მათი სიტყვით მათი სხვა ამხანაგებიც მალე ჩამოვლენ ბრძოლის ველზე გასამგზავრებლად.

—

### ჩვენი ჯავშნიანი მატარებელი სანაინში

სანაინიდან თბილისში ჩამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის ჯავშნოსანი მატარებლების უფროსი ვ. გოგუაძე, რომელიც სანაინთან მომხდარ ამბებს ასე ახასიათებს: „სომხების თავდასხმა ჩვენ ჯავშნიან მატარებლებზე სრულიად მოულოდნელი იყო. მატარებელი გაჩერებული იყო გზის ლიანდაგზე ისეთ პირობებში, რომელიც ხელსაყრელი იყო მოწინაამდეგისათვის. მოწინაამდეგემ რკინის გზის ლიანდაგის ზემოდ დაიჭირა მაღლობები, იქიდან ნაღმით აფეთქებული ქვა-ლოდი დააყარა მთის ძირში მდგარ ჯავშნიან მატარებელს. ამავე დროს ყოველ მხრიდან დაგვიწყეს სროლა. ასეთ პირობებში მოუხდა ბრძოლაში ჩაბმა ჩვენ ჯავშნიან მატარებელს. ამას გარდა მოწინააღმდეგემ მატარებლის უკან 60 ვერსზე რკინის გზის ლიანდაგი გააფუჭა. ერთი მატარებელი ავაფეთქეთ, მისი გადარჩენა არც როგორ არ შეიძლებოდა, ხოლო ორი მატარებლის მცირე რაზმის საშუალებით გადმოიღეს მატარებლიდან ზარბაზნები და ტყვიისმფრქვეველები და შეერთებული ძალით რაზმი ცდილობდა გაერღვია მოწინააღმდეგის რკალი. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგე გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო, ჩვენმა რაზმმა მაინც მოახერხა ხაზის გარღვევა. მოგვიკლეს 3, დაგვიჭრეს 5 კაცი რაზზმა სადახლოს მიაღწია და იქ შეუერთდა საქართველოს ჯარებს. დატოვებული მატარებლები ისეთ პირობებში დაჩა, რომ მოწინააღმდეგეს მათით ვერ ისარგებლებს.

—

### მობილიზაცია

თბილისის ქუჩებში გუშინწინ სამხედრო უფროსის, პოლკოვნიკ ჟღენტის ხელმოწერით მოწოდება გააკრეს, სადაც ნათქვამია: სამხედრო მინისტრის დეპეშის თანახმად გამოცხადებულია მობილიზაცია 1892, 3, 4 და 5 წლებში დაბადებულ სათადარიგო ჯარისკაცებისა. აგრეთვე მოვალენი არიან გამოცხადდენ ექიმები 35 წლამდე. მოხალისეებიც მიიღებიან. მობილიზაცია ცხადდება 18 დეკემბრიდან. მიღება სწარმოებს დილის 8 საათიდან 16 საათამდე, სახლი თამამშევისა ვოგზლის ქ. სადგურის პირდაპირ.

ჩვენ განცვიფრებაში ვართ მოსული ამ განცხადებით, რადგან იგი მხოლოდ რუსულ ენაზეა დაბეჭდილი.

—

### ჰდროს დანიშვნა

გუმბრის, კარაკლისის და ლორეს სამოქალაქო და სამხედრო უფროსად სომხებმა დანიშნეს ჰდრო, ხოლო მის თანაშემწედ ს. მანასიანი.

—

### თავდაცვის ფონდი.

მოქალაქენო! ჩვენს რედაქციასთან დაარსდა თავდაცვის ფონდი. დაეხმარეთ ჩვენ მამაც მეომრებს!

ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

# საქართველო

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

ხელის მოწერის ფასი:

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . . . . . . . . | 150 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . . . . . . . | 75 „ |
| სამი თვით . . . . . . . . . . | 40 „ |
| ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) . . | 15 „ |

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა.

ფოსტის ადრესი: თბილისი, გაზ. საქართველოს კონტორა, ფოსტის ყუთი № 76.

ტელეგრაფის ადრესი: თბილისი „საქართველო“.

კონტორაში ხელის მოწერა მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. უქმე დღეებში 10—1 საათ.

ხელის მომწერს, რომელიც გაზეთის ფასს გარდა კიდევ 10 მანეთს შემოიტანს წლის ბოლომდე მიეცემა

გერონტი ქიქოძის წიგნი ეროვნული ენერგია

(კრებული წერილებისა)

### შემოწირულება.

(რედ. მიმართ.). როდესაც ჩვენ ძვირფას სამშობლოს საფრთხე დაატყდა თავს, დარწმუნებულნი ვართ რო ჩვენი მამაცი მეგობრები არ დაიშურებენ თავის სიცოცხლეს რო შეინარჩუნონ 117 წ. ტანჯვის შემდეგ მონაპოვარი თავისუფლება. მაგრამ მათთვის საჭიროა ნივთიერი დახმარება. საჩქაროდ მივეშველნეთ ჩვენ მთავრობას და ჩვენ ჯარს რითაც შეგვიძლიან. ვწირავ ორას მანეთს რასაც ამასთანავე გაახლებთ.

ან. გიორგაძის ასული.

—

### პ რ ო ვ ი ნ ც ი ა

**ხევი.** მოხევეებმა გაიგეს ვერაგ მტერთან ომის გამოცხადება და სურვილი განაცხადეს, რაც შეიძლება მალე მოუხმონ მათ ბრძოლის ველისკენ.

**ხევსურეთი.** ხევსურეთიდან ჩამოსულის სიტყვით, ხევსურები მზად არიან ომისთვის და მალეც ჩამოვლენ თბილისში.

**დ. ცხინვალის** მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიასა და პარლამენტის თავმჯდომარის კ. ჩხეიძის სახელზე ცხინვალიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: ცხინვალის მოქალაქენი მზათავართ დავიცვათ სამშობლო და თავისუფლება უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

კრების თავმჯდ. გ. ოქროპირიძე.

## მთავრობის წრეებში

### იუსტიციის სამინისტრო.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორად ინიშნება იმავ სასამართლოს წევრი—ხარაზოვი.

—

**ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების შესახებ.** სამინისტროს კანცელარიამ მიიღო პარლამენტის იურიდიული კომისიის მიერ შესწორებული კანონ-პროექტი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების შესახებ.

—

**დუშეთის ამბების გამოძიება.** დუშეთის ამბების გამომძიებელმა კომისიამ დაამთავრა მუშაობა და სამინისტროს წარმოუდგინა საქმე 6 ტომად სათანადო მსვლელობის მისაცემად.

## ქრონიკა

**ჟურნ. „ახალი ძალა“.** გუშინ გამოვიდა ერ.-დემოკრატ. ახალგაზდების ჟურნალ „ახალი ძალის“ მორიგი № 2. ჟურნალში მოთავსებულია წერილები: მეთაური—„ნახევარი წელიწადი“, ბ. გორდეზიანის „ჩვენი გზა“, ვ. ზაალიშვილის — „საქართველოსათვის“, გ. მერკვილაძის—„პოლიტიკური შენიშვნები“, მიხ. კიაზოშვილის—„ჩვენ და ჩვენი წარმატება“, ნ. დ.—სი —„კ. დევდარიანი“, აპოლ. იმერლის ლექსი, გ. გარსიაშვილის—„თანაშემწენი ეზრდებიან“, ელ. პატარიძის—„ქართველი ახალგაზრდობა და საქ. ბედი“, ზ. ჭიჭინაძის—„იმერეთის აჯანყება“, პარტიული ამბები, მოწოდება, და სხ. ჟურნალი კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი და ღირს 2 მ.

**შტატის შემცირება.** ქალაქის თვითმმართველობის სასურსათო განყოფილებას განზრახვა აქვს შტატი შეამციროს. პირველად გამნაწილებელ განყოფილებას უზამენ ლიკვიდაციას. იმ პირთ, რომელნიც მსახურებდენ 1 წლამდე, მიეცემათ სალიკვიდაციო ნახევარი იმისა, რაც მათ მიუღიათ სრულიად სამსახურის დროს. ვინც 1—3 წლამდე მსახურობდა, ღებულობენ 1 თვის ჯამაგირს, ვინც 3 წლის ზევით—1 თვისა და ნახევარი მისა, რაც აღწევს 3 წელ ზევით სამსახურის დროს.

**დემოკრატული კლუბი „მუშტაიდი“.** კვირას, 22 ქრისტეშობისთვეს ვ. ფრანგიშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“.

## პარტიული ცხოვრება

ერ.-დემ. ახალგაზრდ. ჟურნალის „ახალი ძალის“ სასარგებლოდ ჟურნალის კოლეგია მართავს ძვირფას წიგნთა ლატარიას ათი მომგებიანი ბილეთით. გათამაშებული იქნება: ქართველიშვილის გამოცემული ძველი „ვეფხის ტყაოსანი“, გედევანიშვილის გამოცემული ილ. ჭავჭავაძის თხზულებანი, „ქართლის ცხოვრება“, საბა ორბელიანის ლექსიკონი, ა. ყაზბეგის თხზულებანი, Baton-ის „ერი და კაცობრიობა“ და სხვა ქართულ-უცხოეთის წიგნები. თითო ბილეთის ფასი 5 მან. ლატარია აუცილებლივ ორ კვირაში უნდა გათავდეს.

ქ. ქუთაისის ერ-დემოკ. სტუდენტთა საზოგადო კრებამ 15 ქრისტეშობისთვეს მოისმინა ამხ. შალვა ბუაჩიძის მოხსენება პარტიაში მომხდარ განხეთქილების შესახებ, იზიარებს მომხსენებლის აზრს, რომ განხეთქილება მოხდა წმინდა პრინციპიალურ ნიადაგზე და გაყოფილ ჯგუფთა კვლავ შეერთება მას შეუძლებლად მიაჩნია.

## პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექცია

18 ქრისტეშობისთვეს, საღ. 6 ს., სახელმწიფო უნივერსიტეტის 1-ლ აუდიტორიაში, პროფ. ივ. ჯავახიშვილმა რიგს გარეშე წაკითხა ლექცია „ქართველ-სომეხთა შორის სადაო ადგილების ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა“.

პატივცემულ პროფესორმა ლექციას მომენტის შესაფერი შესავალი წარუმძღვარა. შემდეგ დაამტკიცა, რომ სადავო ადგილები: ახალციხე-ახალქალაქი, ლორე და ბამბაკი ეკონომიურად სულაც არ არიან დაკავშირებული სომხეთთან, როგორც სომეხთა საზოგადო მოღვაწენი ამტკიცებენ, ამ ადგილებზე მცხოვრებთ ბუნებრივი სიმაღლეების გამო სომხეთისაკენ გადასვლა ძლიერ ეძნელებათ, მაშინ, როცა ჩრდილოეთისაკენ (ჩვენსკენ) მშვენიერი გზატკეცილები აქვთ, პურს ახალციხე-ახალქალაქიდან 300,000 ფუთს რომ საქართველოში შემოიტანენ, შეიძლება 2 ან 3 ათასი სომხეთში გადაიტანონ. ეს მტკიცება, რომ ამ მაზრებს მეტი მჭიდრო ეკონომიური კავშირი აქვს, ვიდრე საქართველოსთან, ჭეშმარიტების უკუღმა შებრუნება იქნებაო.

ამ მაზრების სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ, პატივცემულ პროფესორმა სთქვა: „ეს მაზრები ბუნებრივ მდებარეობის გამო, იმ დროს, როცა საქართველო სადროშოებათ იყო დაყოფილი მოწინავე სადროშოდ იწოდებოდა და ამის მნიშვნელობა ადვილი გასაგებია, სამხრეთიდან შემოსეულ მტერს პირველად ამ მაზრებში მცხოვრებნი უნდა შეგებებოდნენო, აქ მცხოვრებთა სამხედრო წესრიგი საუკუნოებით იყო შექმნილი საქართველოს სამხედრო მინისტრის საჯდომი ლორის მიუვალი ციხე იყოო. თვითონ ამ ადგილებს ბუნებრივი მდებარეობა იმ უპირატესობას აძლევს, რომ ვისაც ის უჭირავს, მის ხელშია ფაქტიურად აღმოსავლეთ საქართველოც. მან ადგილების სახელწოდებითა და სხვა და სხ. დროის ისტორიული ფაქტებით დაამტკიცა, რომ ეს მაზრები ისტორიულადაც საქართველოს ეკუთვნიან. ერთად-ერთი საფუძველი, რომელსაც ამის შემდეგ სომხეთი უნდა ემყარებოდეს, რეალური მოსახლეობის პრინციპია, რუსეთის მოსვლის დროს ამ მხრებიდან აიყარა ქართველი მაჰმადიანობა და მათ ადგილზე კი მშვიდობიანის გზით შემოსული სომხობა დასახლდა. ამიტომ არის, რომ ისინი დღეს ამ ადგილებში მცხოვრებთა მეტ პროცენტს შეადგენენ.

მაგრამ არც ეს აძლევს სომხეთს საბუთს, რომ მათ ეს ადგილები მოითხოვონ. განა ამერიკაში გადასახლებულ 10 მილიონ გერმანელებს ნება აქვთ ის ადგილები, რომლებზედაც ისინი ცხოვრობენ გერმანიის კუთვნილებად გამოაცხადონო?

შემდეგ აღნიშნა რომ სომხეთის შემოსევა ამ ადგილების დასაპყრობად პირველი ცდა არ არის, რომ ეს საუკუნოებით შექმნილი მათი სურვილია. რომ საქართველოს არა ერთხელ შეხვედრია მოულოდნელად შემოსეულ სომხების წინაშე გალაშქრება. და დღესაც, როცა განახლებული საქართველო მათთან მეგობრული განწყობილების განმტკიცებას ცდილობდა, სომხეთი მოულოდნელად თავს დაესხა საქართველოს და ჰსურს მისი დამოუკიდებლობა საფრთხეში ჩააგდოს.

ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი ჯგუფები უნდა დარწმუნდნენ რომ იმ ერთან, რომელიც წარსულშიაც და ახლაც საქართველოს საფრთხეს უმზადებს, არავითარი კონფერენციების მართვა არ შეიძლება. ჩვენ თუ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა გვსურს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნდა ვებრძოლოთ სომხის ერს, რომელიც ამ დამოუკიდებლობას უდიდეს საფრთხეს უმზადებსო.

„საქართველოს—სთქვა მან—არასოდეს არ გასჭირვებია სომხეთთან ომი და არც ახლა გაუჭირდება, მაგრამ, თუ ვინიცობაა გაუჭირდა, ქართველურად ქუდზე კაცი გავალთ და საქართველო, რომელიც 30 საუკუნე არსებობდა, ჩვენი მკერდით დაცული კვლავ იარსებებსო. ასე დაათავა საყვარელმა პროფესორმა თავისი ლექცია.

მსმენელებმა ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა იგი.

დარბაზში ისმოდა„ გაუმარჯოს საქართველოს გაუმარჯოს ქართველ მხედრობას“.

ელპარიძე.

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

### ფრანგული პრესა, 16 ქრისტეშობისთვე.

**ბერლინის მუნიციპალურ საბჭოს სხდომა**

შერბურგის მუნიციპალურმა საბჭომ არაჩვეულებრივ სხდომაზე დაადგინა შემდეგი შინაარსის მიმართვა გაუგზავნოს პრეზიდენტ ვილსონს: მუნიციპალური საბჭო ქ. შერბურგისა, საიდანაც შეერთებულ შტატების მრავალი მოქალაქე ჩვენთან ერთად გაემგზავრა ბრძოლის ველზე ხალხთა უფლების და თავისუფლების დასაცავათ, ქ. შერბურგის მთელი მცხოვრებთა სახელით მხურვალე სალამს გიძღვნით და მოსურნეა, რომ მდგომარეობამ ხელი შეუწყოს ჩვენს დემოკრატიას. გამოსთქვამს თავის აღფრთოვანებას შეერთებულ შტატების საქვეყნოდ ცნობილ მოქალაქის მათ სამშობლოში ჩამოსვლის გამო.

ალბაში(?)გაიხსნა ტრანსილვანის რუმინთა ეროვნული კრება. კრებას დაესწრო რამოდენიმე ასი ათასი ტრანსილვანიის და ჰუნგრეთის რუმინელი. კრებას უნდა გამოეცხადებია მთავრობის კომიტეტის კონსტიტუცია. მ. ჟიულ-მანიუ დაინიშნა საბჭოს თავმჯდომარეთ და შინაგან საქმეთა მინისტრად.

### გერმანული პრესა, 16 ქრისტეშობისთვე.

**სახალხო კომისართა საბჭოს მოწოდება**

სახალხო კომისართა საბჭომ გერმანიის ხალხს მოწოდებით მიმართა. მოწოდებაში ნათქვამია: ომმა ჩვენ გაგვაღარიბა, მაგრამ დამარცხებამ უფრო მეტათ. მიწის დამუშავებას ყურადღებით არ ვეპყრობოდით. ჩვენი შინაური საქონელი მოსპობილია, ტრანსპორტი შემცირდა, ქარხნებში მუშაობა ზოგან შემცირდა, ზოგან კი სრულიად შეწყდა. ნედლი მასალა არ მოგვეპოვება, ზავის მძიმე პირობები თავისთავად მოქმედებს, გამარჯვებულთა აუტანელი ტვირთი დაგვადვეს, შემდეგ მანიფესტი გერმანიის მუშებს მოუწოდებს აღადგინონ განადგურებული მრეწველობა. შიმშილი და სამოქალაქო ომი, რომელიც ძლიერდება და რევოლიუციონურ მონაპოვართა დაღუპვას უქადის თავიდან იქნას აცდენილი. მუშებს მოუწოდებენ დაიწყონ მუშაობა ყველგან, სადაც შესაძლებელია, ნუ დარჩებიან დიდ ქალაქებში, წავიდენ სოფლად და პატარა ქალაქებში.

**ჯ.-კ. საბჭოს დელეგატების არჩევნები.**

გროსბერლინის ჯარის კაცთა საბჭოს დელეგატების არჩევნებში გერმანიის მუშათა და ჯარის კაცთა დელეგატების ცენტრალურ საბჭოს კრებაზე რომელიც 16 დეკემბერს გაიხსნა, სოციალ-დემოკრატიულ უმრავლესობის პარტიამ მიიღო 204 ხმა, დამოუკიდებელ სოციალისტებმა 121. ამრიგად ჯარის კაცთა საბჭოდან ს.-დ. უმრავლესობის პარტია 4 წარმომადგენელს გაგზავნის, დამოუკიდებელნი კი 2. გროსბერლინის მუშ. საბჭოს ცენტრალურ საბჭოს წევრების არჩევნების დროს ს.-დ. უმრავლესობის პარტიას 349 ხმა მისცა, 78 კი ინტელიგენციის ფურცელს. ამგვარად მუშათა საბჭოები ცენტრალურ საბჭოში 4 სოციალისტს, 5 დამოუკიდებელს და 1 ინტელიგენტს გზავნის საერთოდ, გროსბერლინის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებიდან წარმომადგენელთა დელეგაციაში შედის 11 სოციალისტი 7 დამოუკიდებელი და 1 ინტელიგენტი.

**დამფუძნებელ კრების არჩევნები.**

მეკლენბურგში დამფუძნებელ კრების არჩევნები დაინიშნა 25 ქრისტეშობისთვეს.

**მაკენზენის ლაშქრის იარაღის აყრა.**

მხოლოდ ახლა გაიგეს გერმანიაში, რომ მაკენზენის არმიის რამოდენიმე ათას ჯარისკაცს, რომლებსაც ბრძოლის უნარი აღარ ქონდათ, 5 დეკემბერს რუმინიის ჯარმა იარაღი აყარა და დაატყვევა. მაკენზენმა ამის შესახებ პროტესტი განუცხადა რუმინიის მთავარ სარდლობას ბუქარესტში, კრონსტატიდან გერმანელი ელჩი იუწყება, რომ რუმინიის ჯარმა მაკენზენის მოწინავე რაზმს, რიცხვით 2000 ჯარისკაცს და 120 აფიცერს, გამგზავრების საშუალება არ მისცა, აყარა იარაღი დაატყვევა და უდიერათ მოეპყრო.

**ფრანგები და ჯ. კაცთა საბჭოები.**

დაჭერილ ოლქებში ფრანგები არა თუ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების წინააღმდეგ მიდიან არამედ კრიზუნახში გარეკეს მუშათა და ჯარისკ. საბჭოსგან შემდგარი სახალხო საბჭო.

**ი ო ფ ფ ე.**

აღმოსავლეთ ასპარეზიდან დაბრუნებული აფიცრები და ჯარისკაცნი იუწყებიან, რომ რუსეთის ყოფილი ელჩი ბერლინში იოფფე, რომელსაც მტრულად უყურებს გერმანიის მთავრობა, თავის თავს გერმანიის საბჭოების ყრილობის მიერ მოწვეულათ სთვლის და ცდილობს გაარღვიოს სადემარკაციო ხაზი და გერმანიაში ჩავიდეს... (დამახინჯებულია).

**გერმანიის დემოკრატიული კრება.**

გერმანიის დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც დაარსებულია ეხლანდელ დრომდე ყოფილ პროგრესისტების მიერ და გაძლიერებულია მასთან შეერთებულ ყოფილ ნაციონალ-ლიბერალთა მემარცხენე ფრთით და დამოუკიდებელ ჯგუფით 8 ჯერ გამართა კრება, რომელსაც ყოველთვის მრავალი ხალხი დაესწრო. ორატორთა რიცხვში ილაპარაკა ყოფილ სტატს-სეკრეტარმა დ-რ დერაბურტმა ფრიდრიხ ნაუმარმა, ვაჭრობის მინისტრმა ფიშბეკმა, იუსტიციის მრჩეველმა ფონ გარდონმა. ყველა კრებაზე ანალოგიური შინაარსის რეზოლიუცია იქნა მიღებული. რეზოლიუციაში ნათქვამია კრება მხარს უჭერს ებერტსა და ჰაზეს მთავრობას მათ მისწრაფებას სიმშვიდისა და წესრიგის დაცვაში. კრება დამფუძნებელ კრების მოწვევის გადადების წინააღმდეგ წავიდა და პროტესტი განაცხადა გერმანიის მთლიანობის დარღვევაზე. მას იმედი აქვს, რომ მთავრობა მზათაა ყოველივე საშუალებას მიმართოს, რომ ბოლო მოეღოს ცალკე ჯგუფების ძალით ბატონობას, რომელნიც ძირს უთხრიან მთავრობის ავტორიტეტს.

## უცხოეთის ამბები

### ჟურნალ-გაზეთებიდან.

**პ ო ლ ო ნ ე თ შ ი.**

ვარშავაში სარეგენტო საბჭო გადადგა. მის მაგიერ შესდგა სოციალისტური მთავრობა ცნობილ სოც.-

დემოკრ. დამინსკის მეთაურობით. ახალ მთავრობამ რეზიდენციად ლიუბლინი აირჩია. პოლონეთის მოსახლეობა ცვლილებას მშვიდობიანად შეხვდა. ცხოვრება წყნარად მიმდინარეობს.

**გენ. ტომსონი და მთიელ რესპუბლიკების კავშირი.**

12 ქრისტეშობისთვეს ინგლისის ჯარების სარდალმა გენ. ტომსონმა მიიღო მთიელ ხალხთა—ოსების, ყაბარდიოელების, ჩაჩნების და ქისტების საბჭოთა წარმომადგენელნი და მადლობა გამოუცხადა მთიელ ხალხთა სახელით მისალმების და კეთილი სურვილების გადაცემისათვის. გენ. ტომსონმა მოუწოდა წარმომადგენლებს წესიერების დაცვისათვის და მოკავშირეთა სახელით წარმომადგენლებს დაჰპირდა რომ მათი თხოვნა დაკმაყოფილდება.

## ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი

17 ქრისტეშობისთვეს რესპუბლიკის პარლამენტის სხდომას იურიდიულ კომისიის შემუშავებული ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის კანონ-პროექტი მოხსენდა. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ის ფორმა რომელიც იურიდიულ კომისიამ და იუსტიციის სამინისტრომ წარმოადგინეს ნათლად მოწმობს, რომ ჩვენ იურიდიულ სფეროშიც ექსპერიმენტებისაგან თავი დღესაც ვერ დაგვიხწევია, და ამავე დროს ცხოვრება კი სულ სხვას თხოულობს. მომხსენებელმა ბ. რუსიამ ერთად ერთი ჭეშმარიტი და ძვირფასი დებულება წამოაყენა: სადაც სასამართლო არ არის, იქ სახელმწიფოც არ არისო. თუმცა ეს ჭეშმარიტება არა თუ იურისტებისათვის, არამედ გიმნაზიელებისთვისაც ბანალურია, მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში მდგომარეობა ისეთია, რომ აღფრთოვანებით უნდა მივეგებოთ ასეთ ჭეშმარიტებას მაშინაც, როდესაც მას იურისტის ბაგენიც ლაღადებენ. სწორედ ჩვენი რესპუბლიკა იმდენად „დემოკრატიულია", რომ მასში სასამართლო სრულებით არ არსებობს, თუ არსებობას მარტო იმას არ დაუძახებთ, რომ არიან მოსამართლები და ჯამაგირსაც იღებენ. რასაკვირველია, სასამართლოსი არ არსებობა სახელმწიფოსათვის [illegible] უბედურებაა, მაგრამ ჩვენს [illegible]სპუბლიკაში ადამიანი იმდენ სიავეს კდება, რომ ასეთ უბედურებას კიდევაც შეურიგდებოდა, მაგრამ გაცილებით უფრო მეტი უბედურება ის არის, რომ იმის იმედიც არ არის, რომ ჩვენი მთავრობა ოდესმე შესძლებს სასამართლოს შექმნას.

მკითხველს მოეხსენება, რომ ჩვენი სამინისტრო ყოველ თავის მოქმედებაში პარლამენტის წინაშეა პასუხისმგებელი, მაშასადაშე ერთად ერთ სუვერენულ ორგანოს პარლამენტი წარმოადგენს და მინისტრები მისი ნების ყოფის აღმასრულებელნი არიან. მოსამართლეების დანიშვნა და გადაყენება სავსებით იუსტიციის სამინისტროს ხელშია და არა სუვერენულ ორგანოსი. იუსტიციის სამინისტრო აქამდის ვერ მიხვდარა, რომ ასეთ მღელვარებაში სასამართლოს შესახებ ლაპარაკიც შეუძლებელია, სამინისტრო არ სცდილა, რომ უმაღლეს ინსტანციის წევრები მაინც ყოფილიყო სუვერენული ორგანო პარლამენტის მიერ არჩეული და ამით სასამართლოს დამოუკიდებლობა განემტკიცებია და ამის მაგივრად პროცესუალურ სახელმძღვანელოდან ამოღებულ ცნობით სრულებით გამოუდეგარ პროექტების ფაბრიკაციით არის გართული.

ერთი ასეთი პროექტი უკვე შეიმუშავა და ცხოვრებაში გაატარა იუსტიციის სამინისტრომ, ეს ეგრედ წოდებული საგანგებო სასამართლო, რომელიც ახალ ქურქში გახვეულ ეგრედ წოდებულ რევოლიუციონურ ტრიბუნალს წარმოადგენს, რევოლიუციონური ტრიბუნალები კი ყოვლად გამოუსადეგარ დაწესებულებას წარმოადგენდენ.

რომ ჩვენში კანონს და სასამართლოს არავითარი პატივისცემა არა აქვს ამისი მაგალითები ბევრია: ამ სტრიქონების ავტორი ოთხი თვის განმავლობაში ოლქის სასამართლოს წევრი იყო და ამ ოლქის სასამართლოს ერთი საქმეც არ გაურჩევია; სწორედ კანონის ფეხ ქვეშ გათელვა იყო თბილისის თვითმართველობის მხრივ, როდესაც მან მოქალაქეებს ათ პროცენტიანი გადასახადი გააწერა. მაგრამ როგორ ებრძოდა ამას ადმინისტრაცია? რასაკვირელია არა კანონებრივი გზით. კანონი ავალებდა საგუბერნიო კომისარს თვითმართველობის გადაწყვეტილება ოლქის სასამართლოსი ადმინისტრატიულ განყოფილებაში გაესაჩივრებია, მაგრამ ამის მაგივრად საქმე შინაგან საქმეთა და ქალაქის თავს შორის მკაცრ მიწერ მოწერის იქით არ წასულა.

თუ რა ტრაღედიას განიცდის ჩვენში სამართალი და კანონი ამას მჭევრმეტყველურად ამტკიცებს ერთი დამახასიათებელი ფაქტი რომელსაც მოკლე ხნის წინათ გაგრაში ქონდა ადგილი.

მიწად-მოქმედების სამინისტრომ გაგრის ქონებათ მისაღებად ვიღაც ერთი თავაშვებული ბავშვი, გვარად ხელაძე გააგზავნა. ამ ვაჟბატონს არ მოსწონებია ადგილობრივ მოსამართლე ემილიანოვის განაჩენი ერთ საქმეზე და მოსამართლე მის კამერაში სასტიკად გაულანძღავს, მან მოსამართლეს თურმე შემდეგი სიტყვებით მიმართა: თქვენ თვითმპყრობელობის დროის კანონებით ხელმძღვანელობთ „Я къ чорту разгоню вашъ судъ"-ო მის ზედგავლენით ადგილობრივ კომისარს სვანიძეს და მილიციის უფროს დგებუაძეს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწევია სამოსამართლო ბოქაულისთვის და ერთ მილიციონერს თავის უფროსის თანადასწრებით დედაც შეუგინებია სასამართლოსათვის. როდესაც კი საქმის გამოსაძიებლად პროკურორის დავალებით გამომძიებელი სემიონოვი ჩავიდა უკანასკნელი კომისარ სვანიძის მიერ დატუსაღებულ იქმნა და განთავისუფლეს 18 საათის შემდეგ.

ჩვენ მიუთითეთ ზემოხსენებულ ფაქტზე იმ დროინდელ გენერალ-გუბერნატორს სუხუმის ოლქისას ბ. გ. თუხარელს, მაგრამ უკანასკნელმა აგვიხსნა, რომ კომისარი სვანიძე სახალხო გვარდიის შტაბის მიერ არის დანიშნული და მის წინააღმდეგ ზომების მიღება არ შემიძლიაო, როგორც რომის პაპამ ვერ იხსნა ტანჰოიზერი სიყვარულისაგან აგრეთვე მთავრობის მიერ დანიშნულმა გენერალ-გუბერნატორმა ვერ გვიხსნა რაიონის კომისარისაგან. ზემოხსენებული ფაქტები დოკუმენტალური საბუთებით ჩვენ იუსტიციის მინისტრს ვამცნეთ, მაგრამ მან ვერავითარი ზომები ვერ მიიღო, ვეკითხებით მკითხველს, რომელ თვითმპყრობელ სახელმწიფოში შეიძლებოდა ასეთ აღმაშფოთებელ ამბებს რომ ადგილი ჰქონოდა! განა შეიძლება ამის შემდეგ ჩვენში სასამართლოს არსებობისა ან მოსალოდნელების შესახებ სერიოზულად ლაპარაკი".

და თუ სამართალი არ არის მაშინ არც სახელმწიფოა. სწორედ ბატონებო დენიკინზე და სხვა გარეშე მტრებზე უფრო საშიში ასეთი მდგომარეობაა და როდესაც ამ დროს სასამართლოშიდაც რევოლუციის გაღრმავებას სცდილობენ და სამართლის ისეთი ფორმა შემოაქვთ, რომელიც არც ერთ კონტინენტალურ სახელმწიფოში არ არსებობს, ჩვენ ძალაუნებურად სასიამოვნო მომავლის იმედი სრულებით გვეკარგება.

ვლ. ემუხვარი.

(დასასრული იქნება)

## ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება

**სიტყვა წარმოთქმული გიორგი გვაზავას მიერ საქართველოს პარლამენტში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის კანონპროექტის განხილვის დროს.**

ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება, რა თქმა უნდა, აუცილებელია. მხოლოდ უნდა შემოვიღოთ ნამდვილი ინსტიტუტი, როგორც ეს მიღებულია სხვა განათლებულ ქვეყნებში. მომხსენებელი კი სხვა ქვეყნების გამოცდილებას გვერდს უხვევს და ისე აფართოებს ნაფიც-მსაჯულთა უფლებას, რომ თვითონ ამხობს იმ პრინციპს, რომელსაც ვითომდა ემსახურება. მომხსენებელის აზრით, ნაფიც-მსაჯულებს უფლება უნდა მიეცეთ არა მარტო ფაქტისა და დანაშაულის გადასაწყვეტად, არამედ აგრეთვე სასჯელის გადასაწყვეტადაც. ეს შეუძლებელია, ეს იქნება სრული არევ-დარევა სამართლისა. ნაფიც-მსაჯულად შეიძლება იყოს ყოველი მოქალაქე, რომელმაც კი წერა-კითხვა იცის, მაგრამ სასჯელის გადასაწყვეტად საჭიროა მეტი ცოდნა და იურიდიული მომზადება. ყოველ სასჯელს თავისი გრადაცია აქვს, და ყოველ გრადაციას შეიძლება მოსდევდეს თავისებური ასრულება და უფლებრივი შედეგები. ყველა ამის გათვალისწინება და მათი უფრო იურიდიული გამოხატვა უბრალო მუშას ან სოფლელს არ შეუძლიან. დემოკრატიზმი კარგი საქონელია, მხოლოდ იმას ცოდნა უნდა და მოხმარება.

მეორე საკითხი ეხება ენას. აქ მე ვურჩევ იურიდიულ კომისიას და სამინისტროსაც თავი დაანებონ ისეთ კითხვის გადაწყვეტას, რომელიც თავის ბუნებით გადაუწყვეტია. საქართველოში სასამართლო ენაა ქართული. თუ 1 ან 2 პროც. მცხოვრებისამ არ იცის ქართული, ეს იმას არ ჰნიშნავს, რომ მათთვის ცალკე სასამართლო უნდა დავაწესოთ ან შევაჩეროთ ისეთი რეფორმა, რომელშიდაც დაინტერესებულია მთელი სახელმწიფო ან მთელი ერი. რომელ სინიდისს შეუძლია ამისი მოთხოვნა?

ამიტომ კანონ-პროექტი უნდა შესწორებულ იქმნას და დაუბრუნდეს ისევ კომისსიას.

## სიკეთის მაგიერია?!.

დიახ, გათამამდნენ!

„თანაგრძნობა, ერთგულობას" გვიცხადებენ და თან სამარეს გვითხრიან!

მაგრამ ავიწყდებათ „მუხანათებს", რომ გაიძვერობით ფონს ვერ გავლენ და თვით ჩაცვივდებიან გათხრილ ორმოში!

ქართველი ისე მიამიტი და ბრმა არ არის, რომ თეთრი შავისგან ვერ გაარჩიოს!

დიახ, უმადურმა მეზობელმა გვაწყენინა, მოპარვით დაგვეცა და ჩვენც პასუხი უნდა გავცეთ.

ნათქვამია: მწერი რომ ხელზე დაისვა თავზე აგაცოცდებაო!

ჩვენ რომ ადრევე არ შეგვებრალა გარიყული ხალხი და არ შეგვეკედლა, არც თუ ჩვენ წმიდათა წმიდას შელახავდნენ! არც თუ გათამამდებოდნენ.

მართალია, სიკეთე სიკეთით ძნელად თუ ვინმემ გადიხადოს, მაგრამ... არც ისე უნდა რომ სიხარბით სულსაც მართმევდე!

მოუსვენარო მეზობელო! შენ ხომ შენი სამშობლო გაქვს, მე რაღას მერჩი?!

დეე მეც ვისულდგმულო! შენსას ხომ არას ვითლი?!

მაგრამ... კუზიანს სამარე გაასწორებს!

ჯიუტ ხალხს ოსმალეთის გაკვეთილებმა ვერ ასწავლეს ჭკვა და ახლა თავიანთი ავანტიურისტობა საქართველოში გადმოიტანეს!

ფხიზლად მშობელო ერო! გუშინდელი შენი „მოკეთე" დღეს შენი მტერია! ეცადე მტრის გულისა არ გახდე!

დუშელი ვანო.

## სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამშაბათს 17 ქრისტეშობისთვეს საღ. 6 საათზე შესდგა ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტების კრება. კრებას დაესწრო პოლიტეხნიკუმის ქართველი სტუდენტობაც. საგანი მსჯელობისა დღევანდელი პოლიტიკური ვითარება იყო, ორატორებმა დაახასიათეს საქართველოს დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა, აღნიშნეს სომხებისაგან ჩვენ ტერიტორიაზე ჩადენილი ბარბაროსობა და მოუწოდეს ქართველ სტუდენტობას მამულიშვილურ მოვალეობის შესასრულებლად.

სტუდენტობა მხურვალე ტაშის ცემით შეეგება მოლაპარაკეთ. რუს. ესერების ჯგუფია, რომელთა წარმომადგენელი ჩიქობავა, მოუწოდებდა ქართველ სტუდენტობას ნაციონალისტების მიერ გადასროლილ ანკესსზე ნუ წამოეგებოდენ. სტუდენტობამ ერთხმად დაადგინა, რომ იგი მზადაა მიუხედავად იმისა ეხებათ თუ არა მათ მობილიზაცია ჩაეწერონ ჯარის სხ. და სხ. ნაწილებში და წავიდენ იქ სადაც მათ მოუწოდებთ მთავრობა, მამულიშვილური მოვალეობის შესასრულებლად.

საკვირველი არ არის, რომ ქალებმაც კი იარაღით ხელში დახმარება აღგვითქვეს. ქართველი ქალი ქართველ ვაჟებთან ერთად მამა-პაპურ ხმალს უბრუნდება.

მეორე საკითხი იყო სასადილოს საკითხი (შესაძლებელია დარჩენ უნივერსიტეტში მცირე რიცხვი ქალ-ვაჟი სტუდენტობა) საქმე შემდეგში იყო. სტუდენტობამ, გოლოვინის პრ. მილოვის სახლის ქვედა სართული ბინის კომიტეტის საშუალებით, რეკვიზიციით იშოვნა. სახლი ფაქტიურად მათ უფლებაში იყო. წამოიღეს უნივერსიტეტიდან სასადილოსათვის საჭირო ჭურჭლები და ნახეს რომ მათი სასადილო ს. დემოკრ. ცენტრალურ კომიტეტს დაუბეჭდავს. გაეცნო რა კრება საქმის ნამდვილ ვითარებას, გამგეობას დაავალა 1) ენერგიული პროტესტი განუცხადოს ს. დ. ც. კომ. ასეთ შეუფერებელ ძალადობისათვის. 2) იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, მათ სასადილოს ნუ წაართმევენ, 3) მიიღონ ზომები ლუქის ამძრობნი არ დააპატიმრონ.

ელიხე.

## ქართველი სტუდენტობა

ქართულ უნივერსიტეტის დაარსების დღიდან, საქართველოს შავი ყორნები დასტრიალებს თავს. ჯერ იყო და ოსმალეთმა გათამამებული ჯარი შემოუსია საქართველოს. სამშობლომ მოუხმო ახალგაზრდობას და ისინიც თავიანთ ვალდებულობის შესასრულებლად გამოცხადნენ. ქართველი სტუდენტობა შეგნებულად შეხვდა მომენტს, მოსწყდა ახლად დაარსებულ მეცნიერების კერას და ნაცვლად სამეცნიერო წიგნებისა თოფ ზარბაზნებს მოჰკიდა ხელი. მათ დაამტკიცეს თავისი მამულიშვილობა და ტანჯულ სამშობლოსადმი სიყვარული, ჯერ ოსმალებთან და შემდეგ რუს-სომეხ ბოლშევიკებთან ბრძოლებში. დღეს თავისუფალი სამშობლო დაუნდობელ მტერთა შესამუსრად მოუხმობს კვლავ და ისინიც წავლენ ქარივით. ქართველი სტუდენტობაც წარსულ წელს სისხლის ემბაზში განიბანა. მათ სისხლის წვიმები ვერ შეაშინებს, ისინი გაფაციცებით ელოდენ საქართველოს მთავრობის ზარის ხმას, აჰა ეს ხმაც და მთელი ქართველი სტუდენტობა აბჯარს ისხამს.

ე. პატარიძე.

## მოწოდება

**თბილისში მცხოვრებ რაჭველებს და ლეჩხუმლებს!**

ამხანაგებო! რევოლიუციის და დემოკრატიის მტრები არ ისვენებენ! ყოველ დღე ახალ-ახალ საფრთხეში გვაგდებენ! გვიფეთქებენ ხიდებს და ელექტრონულ სადგურებს! გვიწვავენ შენობებს, გვიძარცვავენ იარაღის საწყობებს! და სხ. ეს ხდება განსაკუთრებით თბილისში და მის მიდამოებში; ბლომათ მოუყრიათ თავი ამ ნაძირალებს! მთავრობა სუსტია მათ ასალაგმავად თუ ხალხმა არ მიიღო მონაწილეობა! შევადგინოთ დაუყონებლივ დამცველი დამხმარე რაზმი იმ პირებისაგან, ვისაც სამხედრო სამსახურში გასვლა არ უწევს ხნოვანობის გამო. ამიტომ საჭიროა საერთო კრების მოხდენა. მოგიწოდებთ ყველას მობრძანდეთ მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში კვირას 12 საათზე.

„რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის კულტურულ-ეკონომიური საზოგადოების" მთავარ გამგეობის თავმჯდომარე

**ევგენი დვალი.**


## თბ. ქართ. ვაჭარ-მრეწველთა კავშირის გამგეობა
# აცხადებს

**სავაჭრო-სამრეწველო პალატის საარჩევნო ინსტრუქციის 1 §-ის ძალით, რომ**

**არჩევნები საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრებისა დანიშნულია:**

1) ქალაქ თბილისში 5 იანვარს (ახ. სტ.) 1919 წელს; I, II, III, IV, V და VI სამილიციო უბნებისა თბილ. ქარ. ვაჭარ-მრეწველთა კავშირის ბინაზე (ფრეილინის ქ., № 11). თავმჯდომარეობა მინდობილი აქვს ბ-ნ **მიხეილ ჯავახიშვილს**: მე-VII, VIII, IX, X, XI და XII უბნებისა ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში ამავე დღეს; თავმჯდომარეობა მინდობილი აქვს ბ-ნ **სვიმონ ჭყონიას.**
2) დუშეთისა და გორის მაზრების არჩევნები დანიშნულია ქ. გორში 5 იანვარს (ახ. სტ.) 1919 წელს გორის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის ბინაზე: თავმჯდომარეობა მინდობილი აქვს ბ-ნ **ზაქარია ქიტიაშვილს.**
3) სიღნაღის მაზრისა და ზაქათალის ოლქის არჩევნები დანიშნულაა ქ. სიღნაღში საურთიერთო ნდობის საზოგად. ბინაზე (ბანკში) 5 იანვარს (ახ. სტ.) 1919 წ. თავმჯდომარეობა მინდობილი აქვს ბ-ნ **კოტე ტუავაძეს.**
4) თიანეთისა და თელავის მაზრებისა დანიშნულია ქ. თელავში 12 იანვარს (ახ. სტ.) 1919 წელს კახეთის კოოპერატივთა კავშირის ბინაზე. თავმჯდომარეობა მინდობილი აქვს ბ-ნ **კოტე ტუავაძეს.**

საარჩევნო სიების განხილვა შეიძლება ზემოაღნიშნულ ბინებზე 1918 წ. დეკემბრის 19-დან ყოველ დღე 10 საათიდან 3 საათამდე. 3—80—3

**საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროსთან არსებული**

## ქართული ლეგიონი
### მოიწვევს მოხალისეებს
## მამულიშვილნო, დღეს სამშობლოს თქვენი თავი სჭირია!

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნონ დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბინაზე, სასახლის ქუჩა, ქართულ თეატრის ეზოში, სადაც ყოველგვარ პირობებს შეიტყობენ.

ლეგიონის სარდალი პოლკოვნიკი **ლეო კერესელიძე.**

იბეჭდება თბილისის პუშკინის სახელობის გიმნაზიის გამოცემა

## საქართველოს ისტორია

ეპიზოდიური კურსი 2 და 3 კლასებისთვის რუსულ ენაზე. ნ. ე. სპილიოტის და დ. ი. კასრაძისა. გამოვა 1919 წ. დასაწყისში.

ხელის მოწერის ფასი 6 მანეთი. გამოცემის დაბეჭდვის და გამოსვლის დროს ფასი შეიძლება შეიცვალოს. ხელის მოწერის დროს გადახდილ უნდა იქნეს 50 პროც. ვინც ბევრ ეკზემპლიარს დაიკვეთს ფასი შეთანხმებით დაეთმობა. ხელის მოწერა მიიღება პუშკინის სახელობის გიმნაზიის კანცელარიაში (ბებუთოვის ქ. № 56 და პუშკინის ქ. № 4). 10—8

## ყოფილი „საუფლისწულო მამულის" ღვინოები

(Удѣльныя вина)

**გაიხსნა განყოფილება სახელმწიფო სარდაფისა**

**ტელეფ. № 888. სასახლის ქ. № 5. ტელეფ № 888.**

რესტორანების, სასტუმროების და მაღაზიების პატრონები და სხვა მოქალაქენი, გოლოვინის პროსპექტის და ერევნის მოედნის რაიონში მცხოვრებნი, რომელთაც სურთ შეიძინონ **„საუფლისწულო"** მამულის ღვინო **პრეისკურანტის ფასებში,** კეთილ ინებებენ მიმართონ ზემოაღნიშნულ მისამართით. 12—9

ექიმი
## ივ. ვ. დემურია

იღებს ავადმყოფებს 1—3 საათ. შინაგან და ბავშვების.

მიხეილის პროსპ. № 116. სასტუმროს „ნოეს" პირდაპირ.

## კერძო სამკურნალო
**ექ. ა. დ. ალექსიძის**

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

**გ. მ. რეკვავა**—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

**მ. მ. ტყემალაძე**—კანის და ვენერიულ.. სიფილ... 606—914 [illegible]ლიხ) 11—12 ს.

**ი. ა. ლაზარევი**—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ნ. თ. ანდრონიკაშვილი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

**ა. დ. ალექსიძე**—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

**მ. ნ. იშხნელი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

**ს. გ. ჯაფარიძე**—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

**ი. ა. ხათრიძე**—ბაქტეოროლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—83.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი ა. დ. ალექსიძე.

**სამკურნალო კაბინეთი ექიმის**

## ალექსანდრე დავითის ძის ჰეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

**მარტის 20 გაიხსნა ახალი**

## სამკურნალო

**უთვედლესვარ ავადმყოფთათვის ექიმ მ. მ. მაიაშვილის და დ. ჟ. ნაზარეთიანცის**

საავადმყოფოში იარსებებს კბილის **საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.**

მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი" ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

**ვენერიულ ავადმყოფების მიღება**— საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

**ღარიბები მიიღებიან კვირაობით,** 10—12-მდე უფასოდ.

ექიმი
## ნიკ. ი. მაჰვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ. სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ.—1536—50

ექიმი
## პ. ტარ. ლორთქიფანიძე

**დაბრუნდა ბაქოდან**

მიიღებს შინაგან სნეულების და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ნაბერეჟნის ქუჩა, სახლი 11. ტელეფონი 8—19.

(თ.—1918).

გ ა ი ხ ს ნ ა
## თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
## ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

ექიმი
## გ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის" ახლოს.

**დოქტორი მედიცინისა**

**[illegible]**

## ჰალვანდჯიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

**რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი დოქტორი მედიცინისა**

## გ. მერაბოვისა

(რენტგენელოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა).

მიიღებს **შინაგან და ნერვიულ** ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, **ჭლექის** ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), გულის, კუჭისა და ჭაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს. **საწყლებს უფასოთ.**


სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გამეთის შესახვევი № 1.